



მ ო ქ მ ე ღ ი კ ი რ ე ბ ი

თეზეუსი, ათენის მთავარი.

ეგეონი, ჰერმეოს მამა.

ლისანდრა }
დეკეტიონი } ჰერმეოს მიტრეფიალენი.

ფილოსტრატე, თეზეოსის დღესასწაულის გამგებელი.

კომედა, ღურვალი.

კონსტანტინე, ხურო.

კოჭა, ფეიქარი.

სტეფანე, შესაბურველი.

დრუნი, თოქმანი.

კნაჭა, თერძი.

იოლიტა, ამორძალების დელოფალი, თეზეოსის საცოლე.

კარმია, ეგეოსის ქალი, ლისანდრეს შეყვარებული.

ელენე, დემეტრიოსის მიტრეფიალე.

ოპარონი, ფერიების მეფე.

ტიტანია, ფერიების დელოფალი.

კაპი, ანუ საყვარელი ბიჭი რობინი.

მლოვვის მარცვალი

ზარვანა

აბლაბუდა

მუნდო

}
ფერიები

სხვა შარიები, თეზეუსისა და იოლიტას აბაღა.

მოქმედების ადგილი – ათენი და ათენის განაპირა ტყე.



მოგვადება პირველი

სურათი პირველი

ათენი. თეზეუსის სახახლე.

შემოდინ თეზეუსი, იპოლიტა, ფილოსტრატე და მხლებლები.

თეზეუსი

ქორწილი, ავერ, კარს მოგვადება, ჩემო ლამაზო, ოთხი დღე კიდევ და დაგვხედავს ახალი მთვარე... მაგრამ ეს ძველი რა ზოზინით იღუვება, ხედავ! წინ ეღობება ჩემს გულისთქმას გაბოროტებით, და დედინაცვალს ემსვავსება, რომელიც ტაბუკს მემკვიდრეობით დანატოვარ ქონებას აცლის.

იპოლიტა

ოთხი დღე რაა — ღამეები შთანთქავენ ხელად, და ოთხი ღამეც გაიღუვება სიზმრებში სწრაფად, მერე კი მთვარე, მორკალული ვერცხლის მშვილდივით, ციდან ღიმილით გადმოხედავს ჩვენს ქორწინებას.

თეზეუსი

წადი, ფილოსტრატე, ათენელი ემაწვილკაცობა, გამოაფხიზლე, მოალხინე, გაახალისე, დაღვრემილობა ქელენისთვის შემოინახონ — ეს ყვიციანი ვაუბატონი ჩვენ რას მოგვიღზენს.

(ფილოსტრატე გადის.)

მე ზომ მახვილით მოგიბოვე; გული ვატკინე და შენი ტრფობა, იპოლიტა, იმით მოვიგე,

მაგრამ ქორწილი სულ სხვა პანზე უნდა ავაწყო — დიდი მოლხენით, ზარზეიმით, მზიარულებით.

(შემოდინ ეგეოსი, ჰერმია, ლისანდრე და დემეტრიოსი.)

ეგეოსი

ბედნიერება ნუ მოგშლოდეს, დიდო მთავარო.

თეზეუსი

ვმადლობ, კეთილო ეგეოსო! ახალს რას გვეტყვი?

ეგეოსი

ღამის სულ თავგზა ამიბნისო ჩემმა ჰერმიამ, ავერ, ამ ჩემმა ქალიშვილმა, და სანივლელად გვახელ სწორედ. დემეტრიოს, აქ მოდი, შვილო. ამ კაცს აღუთქვი მაგის თავი, ბატონო ჩემო. შენც მოდი, ლისანდრ. ამ კაცმა კი, ჩემო მეუფე, რაღაც ჯადოთი მოიმინუსხა მე ქალიშვილი. პო, შენ, შენ, ლისანდრ შენ არ იყავ — ლექსებს

უწერდი,

ხან შენ უძღვნიდი საჩუქრებს და ხან ეგ გიძღვნიდა; მთვარიან ღამეს დაღვებოდი მაგის სარკმელთან, ხმას დაიტკობოდი და ლაქუცით უძღვრდი ხოლმე, თითქოს ვიყვარდა. საჩუქრებით მოზიბლე ბავშვი, სამაჯურიო, ბეჭდებით, თაიგულები, ათასნაირი ხარახურა, უმაქნისობა, რაც ახალგაზრდებს აბრუებს და თავგზას უკარგავს. ასე მზაკვრობით დაატყვევე მაგისი გული, შვილის ერთგული მორჩილება, გაძვერულად, ტლანქ და უხიავ ჯიუტიობად შეაცვლევიე...

ჩემო მოწყალე მეუფეო, თუ შენ წინაშეც
დემეტრიოსის ცოლობაზე უარი ბრძანა,
მაშინ ათენის ძველ კანონებს გამოვიყენებ –
შვილი ჩემია, ჩემს ნებაზე უნდა იაროს,
ან უნდა გაჰყვეს ამ ყმაწვილკაცს, ან უნდა მოკვდეს,
ჩვენი ქალაქის კანონებიც ამას გულისხმობს⁴.

თ ე ზ ე ვ ს ი

აბა, ჰერმია, შენ რას იტყვი, ტურფა გოგონი?
კარგად დაფიქრდი: ღმერთად უნდა დასახო მამა,
მან გაგაჩინა ასე კარგი, ასე ლამაზი,
შენ მისთვის სანთლის თოჯინა ხარ, მან გამოგქერწა
და მის ზელთა შენი ბედი: უნდა დაგტოვებს,
უნდა – დაგშლის და გაქცევს ისეუ არარაობად.
დემეტრიოსი ღირსეული ახალგაზრდაა.

ჰ ე რ მ ი ა

ლისანდრეც კია ღირსეული.

თ ე ზ ე ვ ს ი

დიახაც არის,
მაგრამ მამაშენს რომ არ მოსწონს, სხვა რაღა გზა გაქვს,
უნდა დასახო უფრო ღირსად მეორე ისევ.

ჰ ე რ მ ი ა

გპ, ნეტა მამაც ჩემი თვალით ხედავდეს ყველას.

თ ე ზ ე ვ ს ი

მაგას ისა სჯობს, შენ ხედავდი მამის თვალებით.

ჰ ე რ მ ი ა

გთხოვ მომიტეო, მოწყალეო უფალო ჩემო,
თვითონ არ ვიცო, ასე როგორ გავკადნიერდი,
სად დამეკარგა მოკრძალება, რომ შენ წინაშე
ასე თამამად ვესარჩლები გულისთქმას ჩემსას.
მაგრამ ამას გთხოვ, მოწყალეო, გამაგებინო,
ყველაზე ცუდი რა მომელის ჩვენი კანონით,
დემეტრიოსის ცოლობაზე უარი თუ ვთქვი?

თ ე ზ ე ვ ს ი

ან უნდა მოკვდე ან არა და მთელს სიცოცხლეში
შენ მამაკაცის სახსენებელს არ გაეკარო.
მეტი რა ვითხრა, დაეკითხე გულისთქმას ისევ,
შენს სისხლს მიხედე, შენს გაფურჩქნა

ყმაწვილქალობას,
აწონ-ღაწონე ყველაფერი, ტურფა ჰერმია,
მამის არჩევანს თუ უარყოფ, არ მოგბეზრდება
სამიღღემნიოდ მონაზონის მიძიმე ფლასები?
გადაეგები უშვილობიროდ და უნაყოფოდ,
სენაკის ვიწრო სარკმელიდან სუსტი კნაეილით
ცივ, უნაყოფო მთვარეს უნდა მთელი სიცოცხლე
საგალობლები აღუვლინო⁵. ხაზგზის ნეტარი
ის არის სწორედ, ვინც ამ თქმით სისხლს დაიოკებს...

თუმც, ჩემდა თავად, ხელშეუხებ, გადაბერებულ,
ეკლიან ბუნქზე მიმჭენარ ვარდის ბედს მირჩენია
წელსაცხებულად გამოზდილი ცოცხალი ვარდის
ამქვეყნიური, მიწიერი ბედნიერება.

ჰ ე რ მ ი ა

უძალ ასევე დავჭკნე, მოკვდე, ბატონო ჩემო...
ეს მირჩენია. ქალწულებრივ თავისუფლებას
არასდიდებით მე იმ კაცს არ გავაქევენიებ,
რომლის უღელსაც ჩემი სული ვერ შეიგუებს.

თ ე ზ ე ვ ს ი

ნუ აჩქარდები, მოიფიქრე. ახალ მთვარეზე,
აგერ ჩემი და იპოლიტას ქორწინების დღეს,
გადაწყვეტილი უნდა გქონდეს, რას ამჯობინებ:
ან მამაშენის ურჩობისთვის ერთბაშად მოკვდე;
ან დემეტრიოსს უნდა გაჰყვე; ანდა დიანას
საკურთხეველთან მკაცრი ფიცით უნდა შეიკრა,
რომ ვმობ ცხოვრება-ნეტარებას ამქვეყნიურსა.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

მოიღბე გული, ნუ გამწირავ, ტურფა ჰერმია.
შენც ეს გიუური ანირება დაუმორჩილე
ჩემს უცილობელ და უღაგო უფლებებს, ლისანდრ.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

შენზე ზომ მამა კარგავს ჭკუას – შენც ადექი და
მამა შეირთე. ქალიშვილი მე დამილოცე.

ე გ ე ო ს ი

ტაკიმასხარავ! გასკდი გულზე, მართლაც რომ მიყვარს,
და რაც კი რამე მახადია, მაგისთვის მინდა.
ქალი ჩემია, უფლება მაქვს საკუთარ შვილზე
და ამ უფლებას დემეტრიოსს ვუთმობ მთლიანად.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

გვარიშვილობით ეგ ვერა მჯობს, ბატონო ჩემო,
ტოლს ვერ დამიდებს სიმდიდრითაც. სიყვარულით კი,
მე უფრო მიყვარს თქვენი ქალი. ბედმა ყოველი
მეც ისე უზვად მომანიჭა, ვით დემეტრიოსს,
ზოგი რამე კი იქნებ მეტიც მქონდეს მაგაზე.
ეს სიტყვები რომ ლიტონ კვეხნად არ ჩამეთვალოს,
ტურფა ჰერმიას სიყვარული რად მიღირს მარტო!
რატომღა უნდა დავიზხო, მოთხარით ერთი?!
დემეტრიოსი – პირში ვეტყვი, მოურიდებლად –
ჯერ ნედას ქალზე, ელენეზე ჰკარგავდა ჭკუას,
და, როგორც იყო, ქალის გულიც მოინადირა.
ახლაც კი უყვარს საბრალო ქალს, ღამის გაგვიდეს,
თავდავიწყებით, მთელის გულით და გატაცებით
უყვარს ეს მისი მოღალატე, შემარცხენელი.

თ ე ზ ე ვ ს ი

ეგ მეც კი მითხრეს, ღვთის წინაშე, მინდოდა კიდევ
დემეტრიოსთან ამ საქმეზე მოსაუბრება...

მაგრამ საკუთარ საქმეებში ისე ჩაეფეფლე,
რომ დამავიწყდა. დემეტრიოს, მე გამოძევი...
შენაც, ეგეოს.. დაგარიგებთ, რაღაცას გეტყვით.
შენ კი, ჰერმია, ნუ ჯიუტობ, შენი გულისთქმა,
სცადე, რომ მამის ნება-სურვილს დაუმორჩილო,
თორემ ათენის კანონები შეუვალაია --
ან მოკვდები და ან მონაზუნად აღიკვეცები.
აღარ წავიდეთ, იპოლიტა? პა, ჩემო კარგო?!
შენც გამოგვევი, დემეტრიოს. ეგეოს, შენცა.
საქმე მაქვს თქვენთან. ჯერ ერთი რომ ჩვენს

ჯვრისწერაზე

მინდა ზოგი რომ გვიტოხოთ კიდეც და დაგაგალოთ.
თან თქვენს საკუთარ საქმეზედაც მოვითათბიროთ.

ე გ ე ო ს ი

ხალისითა და მორჩილებით ჩვენ გვახლებით.

(ვალიან თეზევსი, იპოლიტა, ეგეოსი, დემეტრი-
ოსი და მხლებლები.)

ლ ი ს ა ნ დ რ ე

რა მოვიეიდა, ჩემო კარგო, რას გადაფითრდი?
ახე უეცრად რამ დაგიტყნო ღაწვებზე ვარდი?

პ ე რ მ ი ა

აღბათ იმიტომ, რომ თვალებში დაგუბებულმა
გრიგალმა წვიმად ვერ იფეთქა და ვერ დააღბო.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ვაგლახ, ჯერ არსად წამიკითხავს, რომ ჭეშმარიტი
ტრფობის ნაკადულს წყნარადა და მშვიდად ეღინოს.
ხან, ხისხლი აქვსო მდაბიური...

პ ე რ მ ი ა

ეკ, აღზევებულს,
რად უნდა პქონდეს აკრძალული მდაბალის ტრფობა!

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ხან, ასაკშია სხვაობაო...

პ ე რ მ ი ა

ვაგლახ, ბერიკაცს
ანკი რად უნდა მიათხოვონ ყმაწვილი ქალი?!

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ხან ნათესაეებს არ მოსწონთო...

პ ე რ მ ი ა

ო, ჯოჯოხეთო,
გულის სწორსაც რომ სხვისი თვალთ გარჩევიანებენ!

ლ ი ს ა ნ დ რ ე

მაგრამ თუ ბედმა ინება და სასურველს შეხვდი,
ომი, სიკვდილი, სნეულება შემოგიტყვენ

და მოაშთობენ იმ სიყვარულს ბგერის სიჩქარით,
ჩრდილის სისწრაფით გააქრობენ, სიზმრის სიმარდით...
ეით ბნელ ღამეში გაიკვესებს მრისხანე ელეა,
შუა გააპობს ცას და მიწას, და მანამ ხალხი
თქმას მოასწრებდეს -- „შეზე ერთი!“ წყვდაიად

შთანთქავს, --

ასე ხელადვე ქრება ხოლმე ნათელი ქვეყნად.

პ ე რ მ ი ა

მაგრამ თუ თან სდევს გასაჭირი ჭეშმარიტ მიჯნურს,
ჩანს ასეთია ბედისწერის გარღვევალობა
და ჩვენც მორჩილი მოთმინება უნდა ვისწავლოთ.
რადგან ისევე არ შორდება სიყვარულს ვაი,
როგორც უბადრუკ წარმოსახვას -- ფიქრი, ზმანება,
ფუჭი ოცნება, ნატვრა, ოხვრა, ცრემლი მღუღარე.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

შენ მართალს ამბობ, მაგრამ ახლა ყური მათხოვე;
მე ერთი ქერივი მამიდა მყავს, უშვილუძირო,
დიდი ქონების და დიდძალი ფულის პატრონი,
ჩემზე ამოსდის მზე და მთვარე, შეილაღ მე მსახავს.
არცთუ შორსაა -- ათენიდან შეიდ მიღზე ცხოვრობს.
ჩემო ჰერმია, წავიდეთ და იქ ვიქორწინოთ,
ათენის მკაცრი კანონები იქ ვეღარ გასჭრის.
გამოიპარე ხვალ შინიდან, თუკი გიყვარვარ,
და ქალაქგარეთ ღამით, ტყეში -- სადაც ჩვენ ერთხელ
ელენეს შეგხვდით სამაისო დღესასწაულზე --
გამზადებული დაგიხვდები.

პ ე რ მ ი ა

ო, ჩემო ლისანდრ, კუბიდონის მშვილდს გეფიცები,
მის ოქროს ისარს და ვენერას უმანკო მტრედებს,
ცეცხლს, რამაც დასწვა დედოფალი კართაგენისა,
როცა ტროელის გაშლილ აფრას შეაელო თვალი;
ყველა ფიცს, რაიც მამაკაცებს გაუტეხიათ,
და რაც ქალების აღთქმას ბევრით გადააჭარბებს,
რომ ხვალევე ღამით იქ დაგხვდები, საცა დამითქვი.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

არ დაგავიწყდეს, ჩემო კარგო; აგერ, ელენეც.

(შემოდის ე ლ ე ნ ე.)

პ ე რ მ ი ა

ასე საითკენ მიიჩქარი, ლამაზო ელენ?

ე ლ ე ნ ე

მე სადაური ღამაში ვარ! ნეტა, რას ზუმრობ!
ღამაში შენ ხარ, ბედნიერო, დემეტრიოსი
შენმა მშვენება-სილამაზემ მოხიბლა სწორედ...
ვარსკვლავებივით ანათებენ შენი თვალები,
შენი ხმის ჟღერა ჰაერს ისე საამოდ ატკობს,
როგორც ტორილას მოძახილი მწყემსების სმენას,
რაცა ჯეჯილი ველზე მწყანელ აბიბინდება

და როცა კვირტებს გამოიღებს კუნელის ბუნქი.
 როგორც სენია ვადაძეები, ნეტავი ისე
 მაგ სილამაზის გადადებაც შეიძლებოდა!
 მანამ აქ ვდგავარ, ვადაძეოს შენი თმის ფერი,
 შენი თვალების ელვარება, ზმა — ტკბილად მქვდარი.
 მთელი ქვეყანა რომ ჩემი ქნა, მე ვინდომებდი
 მხოლოდ დემეტრეს, სხვას სულმთლად შენ

ღაგიტოვები.

მასწავლე მაინც, უნუგეშოდ ნუ მიმატოვებ —
 დემეტრიოსი რა თილისმით მოაჯადოვე?

ქ ე რ მ ი ა

რაც უფრო ვუბლვერ, შემიყვარა მით უფრო მეტად.

ე ლ ე ნ ე

ბღვერით კი არა, ეგ ღიმილით შემეძლოს, ნეტა!

ქ ე რ მ ი ა

რასაც მე ვწყვიელი... მაგრამ, ვატყობ, კვლავ ჩემით
 ზარობს.

ე ლ ე ნ ე

ლოცვით ავაესებ, ოღონდ ჩემკენ ვადმოიხაროს.

ქ ე რ მ ი ა

რაც უფრო მეტად შევიძულე, ვეღარ ვიშორებ.

ე ლ ე ნ ე

რაც უფრო მეტად შევიყვარე, სულ მომიშორა.

ქ ე რ მ ი ა

თავად ვახელდა, არ მიმიძღვის ბრალი სრულებით.

ე ლ ე ნ ე

ეგ შენი ეშხით!.. მაგ ბრალს არც მე ღაგიტუნებდი.

ქ ე რ მ ი ა

ღამშიდდი, ელენ, სიტყვას გაძლეე, რომ ღღეის იქით
 ვეღარასოდეს ამ ქალაქში ვერ მნახავს იგი.
 მანამდე თვალი დატკბებოდა ლისანდრეს ნახვით,
 ათენი იყო ჩემი წმინდა ედემის ბაღი.
 მაგრამ ენახე, რომ ნეტარება ჩემს სატრფოს აზღავს
 და ის სამოთხე ჯოჯოხეთი მგონია ახლა.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ზვალ ხალამოზე, როს ფეხუსის წმინდა ხატება
 წყლის სარკეებში ვერცხლისფერად აისახება
 და მწყანე ბაღას მარგალიტის შემოსავს თვლები,
 როცა ერთმანეთს მიჯნურები ეკვირან გზნებით,
 ჩვენ გადაწყვეტიეთ, გავეცალოთ ათენის ზღუდეს
 და ამ ქალაქში აღარასდროს აღარ დავბრუნდეთ.

ქ ე რ მ ი ა

ჯერ ტყეში უნდა შევიყვაროთ სხვების ფარულად,
 საცა ოდესღაც, ბავშვობისას, ჩვენც ვაეპარულვართ
 და, ყვაილებში წამოწოლილთ, გულის ფანცქალით
 ერთმანეთისთვის ვაკვინდვია ოცნება ტკბილი.
 იქიდან მერე წავალთ, ვივლით ახალი გზებით
 და ახალ ნაცნობ-მეგობრებში ვავითქვიფებით.
 ღაგიტოვებ, მუდამ ერთმანეთის ტრფობით ვტკბებოდეთ!
 დემეტრიოსსაც შენზე გული მობრუნებოდეს!
 ლისანდრ, ხვალამდე უშენობა მეც გამაწყვლებს —
 ტრფობის საგზალი მოაკლდება დამშეულ თვალებს.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ხვალ ხალამოდე, ჩემო ჰერმი.

(გადის ქ ე რ მ ი ა.)

მშვიდობით, ელენ,

თუ ასე გტანჯავს შენი სატრფო, შენც ააღლევე.

(გადის.)

ე ლ ე ნ ე

ზოგს როგორ წყალობს, ზოგს კი ჩაგრავს ბედი
 წყეული!

მეც ყველას თვალში ხომ ღამაზად ვარ მიჩნეული,
 მაგრამ რად გინდა, დემეტრიოს გამდგარა განზე
 და ცხვირს უბზუებს ქედმალღურად ამ სილამაზეს.
 იგი ჰერმიას შესციცინებს თვალებში გზნებით,
 მე კი მას ვეტრფო, გულმოკლული, თავგადადებით.
 გონჯიც რომ იყოს, უსახური, ბილწი, უმსგავსი —
 კაცს სიყვარული ამაღლებს და ღირსებით ავსებს.
 ბრუტიანია სიყვარული, ბრმა, დამთხვეული,
 და კუპიდონიც მიტომ დაჰქრის თვალაზვეული:
 მანამ ჰერმიას შეხედებოდა გულანათრთოლი,
 ჩემს სამუდამო ერთგულებას ჰფიცავდა შორით,
 მაგრამ ჰერმიას მხურვალეობა ფიცს გააღწო,
 და ჩემი ტრფობა გაუცივა. წავიდე, ვნახო.
 ვეტყვი — ჰერმია როგორ გარბის შინიდან მალვით,
 ნახე, თუ მყისვე არ მოძებნოს იმისი კვალი!
 მე კი ამ მალულ შიკრიკობა-მსტორობის ნაცვლად
 მეტი რა მინდა — მადლობა თუ როგორმე დაცდა.
 თან მეგზურადაც ვეახლები და ფარულ ჭერტით
 იქნებ ჩავიკლა მასთან ყოფნის უნი უშრეტი.

(გადის.)

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ათენი. კომშას სახლი.

შემოდინ კ ო მ შ ა, კ ო ხ ტ ა პ რ უ წ ა, კ ო ჭ ა, ს ტ ვ ი რ ა,
 ღ რ უ ნ წ ა და კ ნ ა ჭ ა.

კ ო მ შ ა

ყველანი აქა ვართ?

კოჭა

ადეი და სათითაოდ გამოიძახე, სიას ჩახედე.

კომშა

აგერ არ მიწერია ყველა, მთელი ათენის ყმაწვილ-
კაცობა, ვისაც კი ოდნავ ფხა მოსდევს და ჩვენი მთავ-
რის ჯვრისწერის ღამეს ინტერმედიის გათამაშება შე-
უძლია!

კოჭა

შე კარგო კაცო, თუ გინდა, რომ პირდაპირ საქმის
გულში შეხვიდე, ჯერ პიესა დაგვისახედე — რა არის,
რას წარმოადგენს. მერე კი მოჰყევი და მსახიობები ჩა-
მოთვალე!

კომშა

ეგრე იფოს! ჩვენს პიესას ჰქვია „ყოვლად საცოდავი
კომედია და ყოვლად უღეთო სიკვდილი პირამოსისა და
თისბესი“².

კოჭა

კარგი რამეა, ჩემმა მზემ, კაი მხიარული რამე. ახლა,
ჩემო კარგო პიტერ კომშა, სიას ჩახედე და მსახიობებიც
ჩამოგეითვალე. აბა, გაიშალეთ, ბატონებო.

კომშა

შე გამოიძახებთ, თქვენ კი მიპასუხეთ. მქსოველი
ნიკ კოჭა.

კოჭა.

აქ ვარ. ბარემ ისიც მითხარი, რას ვითამაშობ, და გა-
აგრძელე.

კომშა

შენა, ნიკ კოჭა, პირამოსის როლი გეძლევა.

კოჭა

ვინ არის მერე პირამოსი — შეყვარებულია თუ მტარ-
ვალი?

კომშა

შეყვარებული! და მერე როგორი შეყვარებული — მაც
სიყვარულის გამო ბოლოს გმირულად იკლავს თავს.

კოჭა

აბა, ახლა ნახე ცრემლების ღერა, რივიან-პირიანად
თუ გაეითამაშეთ. მე თუ მოვიინდომე, ვაი მაყურებელთა
თვალების ბრაღი. ნახე, რა ქარიშხალი დავატრიალო.
სულ ვაი-ეუის ვაძახებ ყველას. შენ მიდი, მიჰყე. ისე,
ჩემთვის მტარვალის როლია ზედგამოჭრილი. პოი, ერ-
თი ვირკულესის³ როლი მომცა. რას ვითამაშებდი! სულ
თმებს ვაგლეჯინებდი ყველას.

მსხერევა, ნგრევა, ლაწალუწი
გააყრუებს არემარეს,

დაიდრება ქარიშხალი

და შეანგრევს ციხის კარებს.
ჰა, ფეხუსის ეტლი მოჰქრის⁴,
შორიდანვე ქუხს და ელავს,
ერთიანად მოსპობს, შთანთქავს
ამ ჩვენს სულელ პედისწერას.

ზორბა რამე არ არის?! აბა, სხვა მსახიობებიც ჩა-
მოთვალე... ვირკულესი თუ გინდა, ეგ არის! ნამდვილი
მტარვალი.. შეყვარებულები უფრო გულჩვილი ხალხია.

კომშა

მესაბერედე ფრანსის სტვირა.

სტვირა

აქა, ვარ, პიტერ კომშა.

კომშა

შენ თისბეს როლი უნდა იკისრო.

სტვირა

თისბე ვინდაა — მოხეტიალე რაინდი?

კომშა

პირამოსის შეყვარებულია.

სტვირა

კარგი რა, თუ ღმერთი გწამს. ქალს ნუ მათამაშებ.
ხომ ხედავ, წვერი წამომეზარდა⁵.

კომშა

ეგ არაფერი, სახეს ნიღბით დაიფარავ, ხმა კი, რაც
შეიძლება გაუწვრილე.

კოჭა

სახის დაფარვა თუ შეიძლება, მეც კი ვითამაშებ
თისბეს. ისე გაუწვრილო, რომ... „თისნი, თისნი.. აჰ,
პირამოს, ჩემო ძვირფასო! შენი თისბე შემოგეველოს,
შენი თისბე გენაცვალოს!“

კომშა

არა, არა შენ პირამოსი უნდა ითამაშო... შენ კიდე
თისბე იქნები.

კოჭა

კარგი. მიჰყე.

კომშა

თერძი რიბინ კნაჭა.

კნაჭა

აქ ვარ, პიტერ კომშა.

კო მ შ ა

რობინ კნაჭა, შენ თისბეს დედა იქნები. თოქმარი ტომ დრუნჩა.

დ რ უ ნ ჩ ა

აქა ვარ, პიტერ კომშა.

კო მ შ ა

პირამოსის მამას ითამაშებ; თისბეს მამა კი მე ვიქნები. ხურო კოხტაპრუწა, შენ ლომის როლი უნდა შეასრულო. ესეც შენი პიესა.

კო ხ ტ ა პ რ უ წ ა

გადაწერილი გაქვს ლომის როლი? იქნება მათხოვო, შენი ჭირიმე, თორემ ძალიან მძიმედ ვიმახსოვრებ.

კო მ შ ა

მაგას რა ბევრი რამე უნდა, სცენაზედაც მოახერხებ სახელდახელოდ. დრიალის მეტი არაფერი გჭირდება.

კო ჭ ა

მაშინ მეც ლომს ვითამაშებ. ისე ვიდრიალო, რომ შენი მოწონებული. ხალხი სულს განაბავს. ისე ვიდრიალო, რომ თვითონ მთავარმა ბრძანოს: „კიდევ აღრიალებო, კიდევ აღრიალებო!“

კო მ შ ა

ძალიანაც თუ გამოიდე თაეი, დედოფალი და სეფე-ქალები დაფეთდებიან, კივილს ატეხენ, და მორჩა — ჩამოგკიდებენ კიდევ.

ყ ვ ე ლ ა ე რ თ ა დ

მაშა, დედის მუცლიდან ნაშობი ვინაც კი ვართ, ერთიანად ჩამოგვახრჩობენ.

კო ჭ ა

მაგას კი მართალს ამბობთ, ბიჭებო, შიშით თუ დავაგიჟეთ ქალბატონები, ჭკუა აღარ შერჩებათ და მართლა ჩამოგვახრჩობენ. მაგრამ ისე მივაკნაველო ხმა, ისე მინაზებულად ვიდრიალო, რომ სულ მტრედის ღულუნს დავამსგავსო; სულ ბულბულივით ვიდრიალო.

კო მ შ ა

არა, შენთვის პირამოსის როლია ზედგამოჭრილი. სხვა როლს ვერ მოგცემ იმიტომ, რომ პირამოსი ეშხიანი კაცია. მთელი ზაფხულის დღე რომ იარო, მაგისტანა ეშხიანი კაცს მეთრეს ვერ ნახავ. შახიანი კაცია, კაცური კაცი. პირამოსი სწორედ შენ უნდა იყო.

კო ჭ ა

რა გაეწყობა, ვიქნები. რანაირი წვერი უნდა გავიკეთო?

კო მ შ ა

რანაირიც მოგეგუნებოს.

კო ჭ ა

იცი, რას ვიზამ: ავიღებ და ჩაღისფერ წვერს გავიკეთებ, ან ფორთოხლისფერს. სულაც, წითელი იყოს, თუ გინდა. ანდა ფრანგული მონეტისფერი წვერი — ნამდვილი ყვითელი⁸.

კო მ შ ა

ფრანგულ მონეტას ვინ მისცა წვერი?! პირტიტველი გინდა გამოხვიდე?⁷ აბა, ბატონებო, აგერ თქვენი როლები და გთხოვთ, გეხეუწებით, მოგიწოდებთ, ზვალ საღამომდე გაიზუთხეთ. მთვარე რომ ამოვა, სასახლის ტყეში შევიყაროთ, ერთ მიღზეა აქედან, იქ გავივლით რეპუტიციას, თორემ ქალაქში თუ დავიწყეთ, ხალხი ავეკიდება და ქვეყანა შეიტყობს. მანამდე მე სიას ჩამოეწერ, პიესის გასათამაშებლად რა დაგვჭირდება. თქვენი ჭირიმე, არ მიღალატოთ.

კო ჭ ა

უსათუოდ მოვალთ. იქ უფრო გულდაგულ გავივლით რეპუტიციას, არაეისი არ მოგვერიდება.

კო მ შ ა

აბა, ჰე, თქვენ იცით. ნახვამდის, მთავრის მუხასთან ვიკრიბებით.

კო ჭ ა

მორჩა: ცოცხალი თუ მკვდარი, იქა ვართ.

(ვადან.)

მ თ ქ მ ე ღ ე ბ ა მ ე ო რ ი

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ტყე ათენის მახლობლად.

შემოდან ფერია და პაკი.

პაკი

ჰეი, ფერია! საით მიფერინავ?

ფერია

გადვიფრენ მთებს და ველებს,
 გზას მინდვრებზე გაევიგრძელებს,
 ცეცხლში გავალ, წყალში ვავალ,
 ტყეს გავაპობ, ბუნქნარს მრავალს,
 აქაც წავალ, იქაც წავალ...
 მთვარის სხივზე უსწრაფესად
 გავარდევ და ვაკევეთ ზეცას.
 ჩემს დედოფალს, სწორუპოვარს,
 ღამიანსა და მზეთუნახავს,
 ტანწერწერტა ფურისულას
 ოქროსფერი ჯარი ახლავს...
 იმ ოქროში წითლად მშინავ
 პატარა თვლებს ხედავ, ქვეით?
 ღალი გახლავს – სინათლისა
 და სურნელის უხვად მფრქვევი.
 წავალ, ბროლის ნამს შევავროვებ მინდვრის თავკიდეს
 და ამ ყვაილებს სათითაოდ ყურზე დავკიდებ!
 მე შენნაირი ზარმაცისთვის აღარა მცხელა.
 აქ დედოფალსა და ფერიებს მოელის ყველა.

პაკი

სიფრთხილი ემარსებო, მეივც მოდის

დროსსატარებლად

და ქიფის დროს დედოფალმა არ დაინახოს.
 ვანრისხებული ობერიონი სულ ცოფებს აფრქვევს,
 რადგან დედოფალს მხლებლად და პირისფარეშად
 აურჩევია ის ყმაწვილი, რომელიც წინათ
 ინდოთა მეფეს მოსტაცეს და წამოიფეხანეს.
 ასე ყოველმხრივ შეიკრული და კობტა ჭაბუკი
 ჯერ ჩვენს დედოფალს პირფარეშად არ ღირსებია?
 ეჭვიან მეფეს თურმე თვითონ მოსდომებია
 ნადირობის დროს თან იახლოს ტყეში ის ბიჭი.
 დედოფალი კი ვერ იმეტებს, ზედ დაჰკანკალებს,
 თავზე ევლებს. ყვაილების გვირგვინებს უწნავს.
 მიტომაც არის, რომ ჭალაში, ელზე, წყაროსთან,
 სადაც არ უნდა შეიყარონ,
 პირში სწვდებიან ერთმანეთსა და ფერიებიც
 იმათი ჩხუბით შეიშრებულ-დაფეთებულნი,
 რკოთა ქედებში მიძვრებიან დასამალავად.

ფერია

ან მართლა შენ ხარ ცუდლუტი და ფლიდი რობინი,
 ან ისე ჰგავხარ, რომ ევლარც კი გამირჩევია;
 შენ არ უეარგავ შიშით თავისას სოფელ გოგონებს?!
 რძეს ნაღებს აცლი და საბრალო ღიასახლისებს
 ტყვილ-უბრალოდ ადღეკებინებ საღლეებელამს;
 იქით წიხქვილსაც ეცეში და აასრივინებ,
 საფუარს აცლი სალევდ ქერს გაბოროტებით,
 მეზაერსაც მხარს უქცევ და დასცინი გზაკვალარეულს?!
 მაგრამ კარგ რობინს ვინც გიწოდებს, იმას რა უჭირს,
 თავი ქუდში აქვს – ხელს უმართავ ყველა საქმეში.
 სთქვი, შენ არა ხარ ის რობინი?

პაკი

ღიასაც მე ვარ.

დავეხეტები ღამდამობით, სიხარულს ვაფრქვევ;
 თვით ობერიონსაც ეცილება ჩემს ხუმრობაზე,
 როდესაც ქერით ნაპატიებ ჭკად ვიქცევი
 და ხვიზვის მოვრთავ ვალაღებულ ულავის გვერდით;
 ხან ღუღის ვამში ჩავცურდები შემწვარ კიბორჩხლად
 და როცა ამ ჯამს ტუნს შეახებ მწყურვალ კალი,
 პირს ამოვუვსებ მე ერთბაშად... დამჭკნარ გულმკერდზე
 ვადმოედერება მოწყურებულ დედაკაცს ღუღი.
 ავერ დგას ვიდაც დედაბერი და ვაი-ვიმით
 რაღაც საშინელ ამბავს ჰყვება, მეც იქ ვაყინდები
 და სამფერ სკამად ვადვიცევი. კენესა-წუწუნით
 სკამს მოიმარჯვებს დედაბერი, საჯლომს მოარგებს,
 მაგრამ ხელაღვი ვუმუხთობ და გამოვიცლები...
 „ბრას“ – იატაკზე საცოდავად მოადენს ბრავგანს,
 ვაი, დედაო, შესძახებს და აყირავდება...
 შენ უნდა ნახო, რა ფხუკუნი ატყდება ირგვლივ,
 ღამის მუცელზე გაიფხრიწონ, ფეხზე ძლივს დგანან,
 პოიცაეენ – ასე ჩვენს დღეში არ ვციცინიაო...
 მაგრამ წაყიდეთ... ობერიონი!..

ფერია

და ავერ ჩემი

დედოფალიცა! რაღა ერთად მოუნდათ მოსკლა!

(ერთი მხრიდან შემოდის ობერიონი ამალით, მეორე მხრიდან კი ტიტანიო თავის ამალით.)

ობერიონი

ჰოი, გულზკაუო ტიტანია, ამ მთვარის შეუქზე ავბედალ შეგზვდი!

ტიტანია

შენ ხარ, ეჭვებით გაბერილი?

აბა, მოუსვით, ფერიებო. ვერც მაგას, ოციონ. ვერც მაგის საწილს ვეღარ ვიტან!

ო ბ ე რ ო ნ ი

ნეტა რას ჩმახავ! მე ხომ შენი მბრძანებელი ვარ!
თავკარიანო,

ტ ი ტ ა ნ ი ა

მე უნდა ვიყო მაშინ შენი მორჩილი ცოლი.
მაგრამ ხომ ვიცი — ფერიათა ზღაპრულ ქვეყნიდან
გამოიპარე, რომ კორინთის სახე მიგეღო,
ჩამოჯდომოდი ვნებააშლილ ფილიდას! გვერდზე
და სატრფიალო სიმღერები გემღერა მისთვის,
მთელი დღე სტვირი საამურად გეკენესებინა!
რად წამოხვედი შორეული ინდოეთიდან,
და აქ რად მოხველ? თუ გგონია გამომაპარებ?
შენ ის გინდა, რომ შენს ძველ მამაც ამორძალ-მიჯნურს,
რომელსაც ახლა ცოლად ირთავს თეზევსი თურმე,
ქმრის სარეცელში დაუმკვიდრო ღზენა-სიამე?.

ო ბ ე რ ო ნ ი

არც კი გრცხვენია, ტიტანია, იპოლიტასთან
მეგობრობისთვის მკიცხავ ასე გაბოროტებით.
მე აკი შენი და თეზევსის ტრფობის ამბავი
შეტყობილი მაქვს თავიდანვე. შენ არ იყავი
პერიფონას რომ გამოსტაცე, წამოიყვანე?
განა შენ გამო არ გატეხა მან წმიდა ფიცი,
არიადნას და ანტიოპას? რომ უღალატა?!

ტ ი ტ ა ნ ი ა

ეს ხომ სულ ფუჭი ეჭვებია. შარშანდღეს აქეთ
არცა მდელიოზე, არც წყაროსთან თუ ზღვაზე სადმე,
მთაში თუ ბარში, თუ მდინარის კლდეგან ნაპირზე,
ჯერ საცეკვაოდ ისე არსად არ შევკრებულვართ.
რომ მყისვე ჩხუბით ყველაფერი არ ჩავეამწარო.
ქარსაც მოსწყინდა ფუჭი გარჯა, შერი იმია
და რა ხანია სტვირს არ გვიკრავს, აღარ გვაცეკვებს,
მოსდგა და რაც კი ჯანდი იყო, სნების მომტანი,
სულ წამოშალა ზღვის ფსკერიდან, ქვეყანას მოსდო,
წვიმად დაუშვა, გადარია მდინარეები,
და ლამის არის წაილეკოს მთელი ხმელეთი;
ხარი მას შემდეგ ცუდუბრალოდ მიათრევს უღელს
და გუთნის დედაც სულ ამაოდ ღვრის შრომის ოფლსა:
ჯეჯილს უღვაშის დაყენებაც ვერ მოუსწრია,
რომ ღებება უკვე; დაიცავდა ბაკები ყველგან
და სვაე-ყორნები დასისინდნენ საქონლის ღემით.
ის მოედნები, საცა ღალი მოღზენა გვქონდა,
ყველგან ტალახით აიხილა; რაგინდ ეძებო,
ბილიკს ვერ ნახავ იმ ძველ, მწვანე ლაბირინთებში,
სულ აითითხნა ყველაფერი. აღამიანი
ზამთარსლა ნატრობს, მიწყდა ყველგან ღალი სიმღერა;
წყლის მბრძანებელი მკრთალი მთვარე გაგვიგულისდა,
რეცხავს და რეცხავს ჰაერს წვიბით და ქვეყანაზე
ჭირი და სნება დააბუდა. ამ დიდ რყევაში

სულ აირია ყველაფერი: წითელი ვარდის
კალთაზე თავი დაუდვია ჭალარა ყინვას;
იქით კი, ეგერ, ყინულოვან გვირგვინს ზამთრისას,
ითიქოს დაცინვით, ყვეელწუნულის ბაფთი ჰკიდია.
ზამთარი ზამთარს აღარა ჰკავს, ზაფხული ზაფხულს,
სულ შეიცვალა შემოდგომა და გაზაფხული,
გაცვალეს თავის ტანსაცმელი, ვეღარ ცნობს ხალხი...
ჩვენა ვართ ბრალში — ეს ამდენი უბედურება
ქვეყნად ჩვენ გამო დატრიალდა, ჩვენმა ჩხუბმა ქნა,
ჩვენა ვართ მისი სათავე და წარმომშობელი.

ო ბ ე რ ო ნ ი

ახლაც შენზეა — შეგიძლია გამოასწარო!
რა ხეირს მოგცემს ობერონთან გამოჯიბრება!
ბოლოს და ბოლოს, რას ვთხოვ ისეთს — ბიჭი დამითე,
რომ პირფარეშად ვიყოლიო.

ტ ი ტ ა ნ ი ა

ვერ ვღირსები,
მთელი სამეფო რომ მანუქო, მაინც არ მოგცემ.
მაგ ბიჭის დედა წინათ ჩემი ქურუმი იყო,
ტკბილი სურნელით დამტკბარ ინდურ ღამეში ვარეთ
გამოვიდოდით, დაედიოდით, ვმუხაიფობდით;
ჩამოვსხდებოდით ზღვის ნაპირას, ყვითელ ხილავზე
და გავაყურებდით ზღვაში გასულ საკაჭრო გემებს:
ქარისგან მუცელგამობერილ აფრის ზილვაზე
აგვიტყდებოდა მხიარული სიცილი ხშირად;
მამან ამ ბიჭზე იყო სწორედ ფეხმძიმედ ქალი,
წამოდგებოდა და ხუმრობით, აფრის წაბაძვით,
ნელ-ნელა გოგვას მოაყვებოდა, მოცურდებოდა
ხმელეთთან ახლოს, ითიქოს გემი იყო წამღვილი,
და ათასნაირ ხარახურას მიძღვნიდა ვითომ...
მაგრამ, მოკვდავი, სწორედ ამ ბაეშვს გადაჰყვა იგი.
მე დედამისის სიყვარულით გავზარდე ბაეში,
მისივე დიდი სიყვარულით, ვერც მოვიშორებ.

ო ბ ე რ ო ნ ი

შენ ეს მითხარი, აქ დარჩენას დიდხანს აპირებ?

ტ ი ტ ა ნ ი ა

მანამ ქორწილი თეზევსისა არ დამთავრდება.
შენც თუ იცავებ ჩვეთან ერთად, შემოგვიერთდი,
არა და წადი, მეც ვეცდები კვლავ აღარ შეგხვდე.

ო ბ ე რ ო ნ ი

მართლა თუ ვინდა შენთან ვიყო, ბიჭი მომეცი.

ტ ი ტ ა ნ ი ა

მთელი სამეფო რომ დამითმო, მაინც არ მოგცემ.
აბა, წავსულვართ, ფერიებო, თორემ მე ვატყობ,
კიდევ თუ დავრჩი, სამუდამოდ გადავიკიდებ.

(გადის ტიტანია თავისი ამალით.)

ო ბ ე რ ი ს ი

წალი, წაბრძანდი... მაგრამ ტყიდან ისე ვერ გახვალ, თუ ამ წყენისთვის საბოლოოდ არ გაგამწარე. აქ მოდი, ჩემო ძვირფასო პაკე, თუ გაგონდება, ერთხელ, ოდესღაც, კონცხზე ვიჯექე განმარტობით და ვურს ვუვადებდი სირინოზის ტკბილ საგალობელს — დღეფინის ზურგზე შემოძვლარი ზღვაში ცურავდა⁹ — ისე ტკბილი და საამური სიმღერა იყო, რომ მღელვარე ზღვაც დააცხრო და დააშოშმინა, ვარსკვლავანი მოსწყდნენ ვიკებივით თავიანთ სფერას და იმ სიმღერის მოსასმენად ძირს ჩამოცვივდნენ.

პ ა კ ი

მახსოვს, ბატონო.

ო ბ ე რ ი ს ი

სწორედ მაშინ მოეკარი თვალი,

როგორ მიპქროდა კუპიდონი, აბჯარასხმული, და ცივი მთვარით განათებულ სივრცეებს ჰკვეთდა. უეცრად მშვილდი გადმოიღო, მარჯვედ მოზიდა და დაუმიზნა დასავლეთის ტახტზე მჯდომ ვესტალს¹⁰, ისე ღონიერად ასხლიტა და სტყორცნა ისარი, რომ ასი ათას გულს გააკვეთდა და გაააპობდა. მაგრამ შეენიშნე აღმოღებულ ისარს ზელადეე როგორ ჩაუქრო მთვარის ცივმა სხივებმა ცეცხლი, ვეღარც კი მისწვდა ის ქურუმთა ტურფა დედოფალს, რომელიც ისევე ქალწულებრივ სათნო, უმანკო ფიქრს მისცემოდა, ტახტზე მჯდომი, შეუბღალავი... ხოლო ისარმა პაწაწინა ყვავილი დასჭრა, და სატრფიალო კრილობისგან თეთრი ფურცლები სულ მეწაბულად შეუღება. ახლა იმ ყვავილს „ამათ ტრფობას“¹¹ ეძახიან. ერთხელ შეთვისიაც მიჩვენებია ის ყვავილი. უნდა წახვიდე და მომიტანო. იმიზეზად წვეს გამოსწურავენ და მიძინებულს წამწამებზე მოასხურებენ; ვისაც პირველად დაინახავს ვადვიძებული — გინდ კაცი იყოს, გინდა ქალი, ეგ სულ ერთია — თავდავიწყებით შეიყვარებს. მაშ, გასწი ჩქარა, და ვიდრე ერთ მილს გაივლილეს ლევიათანი¹², ისევე აქ განხდი, მომიტანე ის ტრფობის ჯადო.

პ ა კ ი

ოციოდ წუთში დედამიწას ვარს შემოვუბრენ.

(გადის.)

ო ბ ე რ ი ს ი

ახლავე უნდა ტიტანიას დაუდარაჯდე, და როდესაც კი წაძინებულს ვიხილავ სადმე, მყისვე თვალეპზე იმ ყვავილის წვეს მივასხურებ. რასაც თვალს მოჰქრავს, სულ პირველად, ვადვიძებული, გინდ ღომი იყოს, გინდა დათვი, მგელი, კამეჩი, მაიმუნი თუ აშნაირი უმკვანი არსი,

სულით და გულით შეიყვარებს გამძავებული, მანამ მე თვითონ სხვა წამალით არ მოვზხნი ჯადოს. აღარ დამიჭერს, რა თქმა უნდა, პირფარეშს მაშინ. ვილაცა მოდის. მე, უჩინარს, ვერები შემნიშნავს¹³, და ვურს დაუუგდებ შეუმჩნეველად მაგათ საუბარს.

(შემოდის დემეტრიოსი, მას ელენე მოსდევს.)

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ნეტა, რას დამდეე? არ მიყვარხარ, ვერ გაიგონე? სად არის მერე ან ჰერმია და ან ლისანდრე? იცოცხლე, მოეკლაე!.. მაგრამ ქალი მე რომ მკლავს

აქეთ!

აკი ამ ტყეში დასამაღად გამოიქცნენო! ლამის მე თვითონ გავტყუორდე, რადგან არ იქნა, ველარ ველირსე ჩემი ტურფა ჰერმიას ნახვას. მომშორდი-მეთქი, რაღას მომდეე, რას ამეკლაე!

ე ლ ე ნ ე

თვითონ მიხიდაე, შე გულქვაო, ანდამატივით; ამ გულს იზიდაე; გული რკინის არ არის, ვიცი, მაგრამ სიმტკიცე-ერთგულეუბა ფოლადისა აქვს. ჩამოიშორე შენ თვითონვე მაგნიტის ძალა, და მეც დაეკარგავ მაშინათვე მიხიდევის უნარს.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

მაშ გამოდის, რომ მე გაცთუნებ, მე გეფერები! მაინც, რამდენჯერ უნდა ვითხრა — არ შემიძლია, არც მიყვარხარ და ვერც ვერაღეს ვერ შეგიყვარებ.

ე ლ ე ნ ე

სწორედ მაგისთვის ათასწილად უფრო მიყვარხარ. შენი ცუგა ვარ, შენი ძაღლი, ო, დემეტრიოს, თუ გინდა უფრო გელაქუსო, მაგრად გამჯობე. ძაღლი ვარ-მეთქი — მცემე, მგევე, წიხლი ამომკარ, ნურად ჩამაგდებ, ოღონდ ნება დამართე მე უღირსს, რომ ცუგასავით კულში გდო. აბა, გამოტყდი, ამაზე მდაბალს ხომ ვერაფერს გამოიმეტებ — ძაღლად ჩამთვალო და ძაღლივით მომექტე მუღამ?! ჩემთვის კი ეგეც უმაღლესი პატივი არის.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ნუ განაცოფებ, მძულხარ-მეთქი, არ გეყურება! შენ რომ შეგზედაე, ცულად ვზღებო, გული მერევა.

ე ლ ე ნ ე

მეც ვზღებო ცულად... მაგრამ მაშინ, როცა ვერ გხედაე.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ჩაწილს რად აყენებ შენს ზნეობა-პატიოსნებას? გამოქცეულხარ ქალაქიდან, დასდევნებიხარ კაცს, ვისაც შენი სიყვარული სულაც არა აქვს. შენი საუნჯე — ქალწულობა, უმანკოება

საალაღბელოდ გაცხადია და მინდობიხარ
ღამის სიბნელეს, უღაბურ ტყვის ავსა ცოუნებას!

ე ლ ე ნ ე

ჩემი მფარველი არის შენი პატიოსნება;
შენ რომ გიყურებ, ჩემთვის მაშინ დღეა ნათელი,
და სულაც ვერ ვგრძნობ, დამერწმუნე, ღამის სიბნელეს.
ტყეს რატომ ეთქმის უღაბური — აკი შენ ჩემთვის
ყველაფერი ხარ, მთელი ხალხი, მთელი ქვეყანა.
ან მე რად მეთქმის ტყეში კენტად გაღმობეწილი,
როცა აქა ღვას ეს ქვეყანა და შემომცქერის!

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

უნდა გავიქცე, შევფარო თავი ბუნჩქებსა.
შენ ბრძანებოდე — დრო ატარე მძვინვარ მხეცებთან.

ე ლ ე ნ ე

მძვინვარე მხეციც არ იქნება ასეთი გულქვა,
რადას უყურებ, გაიქცეც, ძველი თქმულება
შეიცვლება და თავდაყირა დადგება მაშინ:
გარბის აპოლონ, ვერ ეწევა დაფნა, ბედგრული¹⁴;
მტრული კი, ეგერ, გრიფონს¹⁵ მისდევს თავკამოლებით;
უმწეო ნუკრი დასაჭერად ვეფხვს გამოუღვა.
რადა აზრი აქვს ამ გაქცევას და აჩქარებას,
როს სიძაბუნე მამაცობას დასდევნება!

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

გამიშვი, თავი დამანებე, აღარ მოვისმენ.
მაგრამ თუ მაინც არ დაიშლი და გამოშვებები,
ესეც იცოდე, რომ ამ ტყეში ცუდ დღეს დაგძარტებ.

ე ლ ე ნ ე

რადა ამ ტყეში — ტაძარშიაც, ქალაქში, მინდვრად,
შენი შემყურე განა ყველგან ცუდ დღეში არ ვარ!
ფუი, გრცხვენოდე, დემეტრიოს! უღანო ქალის
ასე დაჩაგვრა გაგონილა! მამაკაცისებრ
სიყვარულს ბრძოლით სუსტი ქალი რას მოიპოვებს!
სახვეწნი რა გვაქვს — აქეთ უნდა გვეხვეწებოდეთ.
არ მოვშორდები და ჯოჯოხეთს სამოთხედ ვიქცევი;
მიჯნურის ხელით სიკვდილიც კი ნეტარებაა.

(გაღიან დემეტრიოსი და ელენე.)

ო ბ ე რ ო ნ ი

დამშვიდდი, ტურფავ, ვერც მოასწრებთ ამ ტყიდან
გასვლას,

შენ გაექცევი, ის კი უკან დაგედევნება.

(შემოდის პაკი.)

უკვე მოხვედი? მომიტანე ჩემი ყვავილი?

პ ა კ ი

ღიან, ბატონო, აგერა მაქვს.

ო ბ ე რ ო ნ ი

აბა, მომეცი,

გორაკი ვიცი ტყეში ერთი, მწევანით მოსილი,

მორცხვი იებით მოსატული, აჭრედებული,
ტკბილსურნელოვან მუშკის ვარდით, ასკილის ბურქით
და სირვაშლათი ერთიანად გაღმობურული.
იქ უყვარს ხოლმე ტიტანიას ღამით განცხრომა,
იმ ყვავილების შრიალსა და ჩურჩულში სძინავს;
გველიც იქ იცვლის ბრჭყვიალა კანს, და ფერიები
გაეხვევიან გველის კანში თავმოწონებით...
წაეალ და ამ წვეს ტიტანიას თვალზე ვაპკურებ,
უნცაურ სიზმრებს მოვგვრი ძილში. შენც მოეცემ

ცოტას —

აქ ერთი ტურფა ათენელი ქალია, ტყეში,
უღირს ჭაბუკზე უიმედოდ შეყვარებული.
წადა, იმ ჭაბუკს მოასხურე, ოღონდ იმგვარად,
რომ, გაღვიძებულს, ზელში შეჩჩეს სწორედ ის ქალი.
ბიჭს ათენური ჩაცმულობით ადვილად იცნობ.
ისე ჰქენი, რომ ქალზე მეტად ბიჭს შეუყვარდეს.
სანამ მამალი იფიველებდეს, უკანვე მოდი.

პ ა კ ი

ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მამბრძანებ.

(გაღიან.)

ს უ რ ა თ ი ე მ ო რ ე

იგივე ტყე, ოღონდ სხვა ადგილას.

შემოდის ტიტანია ამალით.

ტი ტ ა ნ ი ა

აბა, ფერხული გავაჩაღოთ, სიმღერა დაეცხსოთ
და მალე ისეც თავის საქმეს მიხედოს ყველამ:
ზოგი ვარდებში დაბუღებულ მატლებს გაყუჭავს,
ზოგი ღამურებს დაერიოს და ტყავის ფრთები
სულ დაავლიჯოს — ფერიების ტანშესამოსად.
ზოგმა ბუები მოაშოროს აქაურობას:
დაკარგული გვაქვს მოსვენება — სხედან, კვიან
და ჩვენ გვიშვრენ გაკვირვებით, თვალდაჭყეტილნი.
მეცა მჭირდება მოსვენება, ნანა მიმღერეთ,
ზოლო როდესაც დავიძინებ, საქმეს მიხედეთ.

I ფ ე რ ი ა

სისინა გველი¹,
ხელიკი ტანტალა.
ზღარბი ჩხვლეტია,
მატლი პატარა,
შორს გადაკარგეთ,
ნუ მოვლენ აქეთ,
არ მიაკაროთ დედოფალს, არა.

გ უ ნ დ ი

მოგვაშეეღე, ფილიმელა²,
შენი ტკბილი
მიძახილი,

ნანა, ნანა ჩემს დედოფალს,
ნანა, ნანა, ნანა ტკბილი.
შორს მისვან ვნება,
ჯადო და სნება.
ძილი ჰქონოდეს
და მოსვენება.

II ფერია
ობობასაც განი, განი,
დაუბრუნეთ თავის ბუღეს...
აღარ მისცეთ გასაქანი
მატლებსა და აბლაბუღებს.

გუნდი
მოგაშველე, ფილომელა,
შენი ტკბილი მოძახილი,
ნანა, ნანა, ჩვენს დედოფალს,
ნანა, ნანა, ნანა ტკბილი.
და ა. შ.

I ფერია
ჩაქინა, ვასწით ჩქარა,
აქ დარაჯად ერთიც კმარა.

(ფერიები გადიან. ტიტანის სიბინავს.
შემოდის ოპერონი.)

ობერთონი
თვალს პირველად რასაც ჰკიდებ,
მიჯნურადაც მას ჩასთვლიდე,
(ყვავილის წვეს წამწამებზე მოასხურებს.)
კენესდე მისი გადამკიდე:
დათვი, მგელი, კატა, ღორი,
თუნდაც ჯიქი, ვეფხვის სწორი,
დაინახო – შეიყვარო,
გულის სატრფოდ გაიზადო!

(გაღის. შემოდის ლისანდრე და ჰერმია.)

ლისანდრე
რა ექნა, მგონია, გზა დაკარგე, ჩემო ლამაზო.
შენც, ალბათ, როგორ დაიღალე ტყეში წრიალით!
მოდი, თუ გინდა, წამოწევი და დაისვენე,
ღღის სინათლეზე გზასაც უფრო კარგად გავიგნებთ.

ჰერმია
კარგი. შენ წადი, გამოძებნე საწოლი შენთვის,
მე კი ამ კორდზე მივდებ თავს და აქ დავიძინებ.

ლისანდრე
კორდი სასთუმლად ორივესაც კარგად გვეყოფა;
გული ერთი გვაქვს – შევეერთოთ საწოლიც ბარემ.

ჰერმია
ნუ, ჩემო ლისანდრ, თუ გიყვარვარ, მაგას ნუ იზამ,
ახლოს ნუ მოხვალ, მოშორებით დაწევი საღმე.

ლისანდრე
ნუ გეგონება, თითქოს ცუდი განზრახვა მქონდეს.
მიჯნურზე კარგად ვინ გაიგოს მიჯნურის ენა!
თუკი გულები სამუდამოდ დავაკავშირეთ,
თუ ორი გული – შენიც, ჩემიც – ერთად აბგერდა,
მაშინ შენს გვერდით დაწოლაზეც ნუ მეტყევი უარს.
ორ გულს რომ ვამბობ, ორგულობას ნუკი დამწამებ.

ჰერმია
შენ ქარაგმებით ლაპარაკში ვინ შეგედრება!
შერცხვეს ჰერმიას ქალობა და თავმოყვარება,
თუ თავის ლისანდრს ბრალი დასდოს ორგულობაში,
მაგრამ, კეთილო მეგობარო, გემუდარები,
ამას მოითხოვს სიყვარულიც და გაზრდილობაც,
ასეა ჭეყნად მიღებული – ბიჭი და გოგო
ვანცალკეებით უნდა იყვნენ ჯვარისწერამდე.
მამ, დამე ნების, ჩემო კარგო, ეს სიყვარული,
მანამდე პირში სული ვიდგას, ნუმც მოგეშალოს.

ლისანდრე
ამინ და ამინ! შენს ღაღადისს მეც ეუერთდები.
ღღეც მომესწრაფოს, ერთგულება თუ დამეკარგა!
აგერ დაეწევი. ტკბილი ძილი და მოსვენება!
(იბინებენ. შემოდის პაკი.)

პაკი
ამოდენა ტყე სულ მოველე ფრენით,
მაგრამ არ იქნა, ვერ მივაგენი.
ყვავილის ძალა, გულით მეწადა,
იმ ათენელზე გამომეცადა,
არცა ჩანს რამე, არც რამე ისმის,
როგორღა ენახო მე კვალი მისი?!
ჩუ! ათენელს ჰგავს... აგერ ყოფილა,
ათენურადვე გამოწყობილა.
აგერ, ის ქალიც, გაწამებული,
ამ სიბნელეში სად დავდებულა!
საწყალი გოგო! შიშით და კრბალვით
ვერ ეკარება – შორს გღია მალვით.
ჯერ გამოსცაღე ამ ჯადოს ძალი.

(ლისანდრეს თვალებში ყვავილს ჩაწურავს.)

ისე შეიტკობ ეს ტურფა ქალი,
რომ მერე ვეღარ მოსწყვიტო თვალი.
მე კი გავბრუნდი უკანვე ფრენით,
ჩქარა, მიმეღის მეუფე ჩვენი.

(გაღის. შემოდის დემეტრიოსი, უკან ეღენე მოსდევს.)

ელენე
თუნდა მომკალი, დემეტრიოს, ოღონდ გაჩერდი.
დემეტრიოსი
ნუ მომღევ-მეთქი, გუებნები, თავიდან მომწყედი!

ე ლ ე ნ ე

ამ სიბნელეში ხომ გავეყვდი! ო, ნუ გამწირავ.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ჯანდაბამდისაც გზა გქონია. მე კი წავედი.

(გაღის.)

ე ლ ე ნ ე

ამდენი დევნით სუნთქვა შეკერის, გული მისკდება. რაც უფრო მეტად ვეზვეწები — ნაკლებად მწყვლობს...

აბა, ჰერმიას რაღა უჭირს, ბედნიერია — მისი თვალების ელვარება ვის არ მოხიბლავს! რამ მისცა მერე იმის თვალებს ეს ელვარება? მლაშე ცრემლებმა? მე ხომ უფრო მეტ ცრემლებსა

ვღვრი?

არა, ნამდვილად მახინჯი ვარ, დათვივით ვონვსა — შიშით მხეცებიც გამიბზიან. და რაღად მიკვირს, რომ ჩემისთანა საფრთხობელას დემეტრიოსი სათოფედ აღარ გაეკაროს და განერიდოს?!

ოი, მაცთურო და ბოროტო ჩემო თვალებო — თქვენ ჰერმიასთან შედარება როგორ გაბედეთ?! ამას რას ვხედავ?... ო, ლისანდრე! მიწაზე გდია! მოჰკლეს? თუ სძინავს?... სისხლი არ ჩანს, არცა

ჭრილობა,
ლისანდრ, თუ პირში სული ვიდვას, გამოიღვიძე.

ლ ი ს ა ნ დ რ ე (იღვიძებს)

შენი გულისთვის ცეცხლსაც კი არ შევეშინდები, ციურო ელენ. ო, ბუნების საკვირველებაც — შენს გულის ფეთქვას როგორ ცხადად ვხედავ შენს

მკერდში.

დემეტრიოსი სად წაბრძანდა? ბილწი, უმკვანი! ჩემი ხმლის წერა უნდა გახდეს ეგ არამზადა.

ე ლ ე ნ ე

მაგას ნუ იტყვი, მეტად ნულარ გაიმეორებ. ჰერმია უყვარს დემეტრიოსს, მაგრამ რა მოხდა — ჰერმიას მაინც შენ უყვარხარ, მეტი რა გინდა!

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ჰერმიას მეტი რა გინდაო! რას ლაპარაკობ! ახლალა ვნანობ იმ ფუჭსა და მოსაწყენ წუთებს, რაც მე იმასთან დამიკარგავს. არა, გათავდა, ჰერმია მეტად აღარ მიყვარს, ელენე მიყვარს. ანკი ყვავს მტრედში ვინ არ გაცეკვის, ჰკავათამყოფელი! გული გონებას კაცმა უნდა დაუმორჩილოს, ხოლო გონება მეუბნება, ელენე სჯობსო. ყოველი ხილი თავის დროზე უნდა დამწიფდეს,

ჩემი გონება უმწიფარი იყო აქამდე, ახლა კი, როცა მოვიყარე ამხელა კაცი, გულს და სურვილებს წინამძღოლად გონება უდვას, და ის მიბრძანებს, სიყვარულის უძლიერეს წიგნში — მაგ შენს თვალებში — ჩვენი ტრფობა ამოუეკათხო.

ე ლ ე ნ ე

ო, ღმერთო, ვველას სასაცილო რატომ გამხადე! რას მემართლები, ჰა, ჭაბუკო, რა დავიშავე? ის არ მეყოფა, გვეითხები, ის არ მეყოფა, რომ არ იქნა და ვერ ველირსე, ვერ მოუესწარი დემეტრიოსს რომ ჩემთვის ნახად შემოიქნედა?! ჩემს გაჭირვებას იგდებ მასხრად?! არ გეკადრება! სულაც არ არის საკადრისი, ღმერთს ვფიცვები, რომ ასე ზიზღით, ავადებულად მეკურკურები, რა გაეწყობა, კარგად იყავ. უნდა გამოეცვდე, კაცური კაცი მეგონე შენ. ვერ გამოვივა, ჭალი, ერთისგან დაგმობილი, უარყოფილი, მერიის მასხრად ასაგდები რად უნდა გახდეს!

(გაღის.)

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ჰერმია არც კი დაუნახავს... მანდვე გემინოს. დღეიდან ველარ ელირსები ლისანდრთან გავლას. ტკბილეული რომ მოგვირჭდება და გულს აგირევს, ერესში ჩაფლულს ის ერესი რომ მოგებზრდება და მერე მისი ვახსენებაც კი ტანში გზარავს, ისე მომყირჭდი, ველარ გიტან, გულზე მადვიხარ. საძულველ იყო ვეფლასაგან, ჩემგან — მით უფრო!.. რაც მამაღია — სიყვარული, გული და სული, მე რაინდულად ელენესთვის მიმირთმევი.

(გაღის.)

ჰ ე რ მ ი ა (იღვიძებს)

მიშველე, ლისანდრ, მომეშველე, ჩქარა, მიშველე! ო, ჩქარა მოდი, ეს ახპიტი მომგლიჯე გულზე... რა საშინელი სიზმარია! ო, შემებრალებო! როგორ ეკანკალებ შიშისაგან, ვერ ხედავ, ლისანდრ?! სიზმარში ვნახე, გულსა მწოვდა ბილწი ახპიტი, შენ კი იჯექი არზეინად და იღიმოდი... ლისანდრ... წავიდა! აღარ არის? ლისანდრ, ო, ღმერთო! არ გეყურება? თუ წახვედი? ხმასაც არ იღებს. სადა ხარ, ლისანდრ, ხმა გამეცი, მითხარი რამე? ხმა ამოიღე, თუ გიყვარვარ... ლამის გავეყვდე. ჰა?... წახველ განა? აღარ ჩანხარ? მეც რაღას ვუცდი — ან შენ მოგძებნი, ანდა საეკვიდოს, დაუყოვნებლივ.

(გაღის.)

მ ო ჭ მ ე ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ტყე. ტიტანის სძინავს.

შემოდან კ ო მ შ ა, კ ო ს ტ ა პ რ უ წ ა, კ ო ჭ ა, ს ტ ვ ი რ ა, ღ რ უ ნ ჩ ა და კ ნ ა ჭ ა.

კ ო ჭ ა
ყველანი აქა ვართ?

კ ო მ შ ა
მაშა, მაშა, ადვილიც სწორედ რეპეტიციისათვის არის ზედგამოჭრილი. ეს მწვანე კორდი სცენა იყოს. საპირფარეშოდ კიდე კუნულის ბუნქები გამოგვადგება. ისე ვა- ვითამაშოთ მთელი პიესა, თითქოს უკვე მთავარი გვიყუ- რებდეს.

კ ო ჭ ა
პიტერ კომშა...

კ ო მ შ ა
რას მიბრძანებ, ყოფლიჩინა კოჭა?

კ ო ჭ ა
იმისთანა რაღაცეებია ამ ჩვენს პიესაში, რომ კაცი- შვილს არ მოეწონება. ჯერ, თუნდაც, პირამოსი რომ ხმაღს იბრაობს და თავს იკლავს. ამას გაუძლებენ ჩვენი ქალები?! ჰა, რას იტყვი?

ღ რ უ ნ ჩ ა
ღეთისმშობლის მადლმა, მართლაც რომ საშინელი რამე იქნება.

კ ნ ა ჭ ა
ჩვენც აუღკოთ და ამოვავლოთ ეს მკელელობა.

კ ო ჭ ა
რას მიჭქარავ. მე უკვე მოვიფიქრე ყველაფერი. თქვენ ოღონდ პროლოგი დამიწერეთ... დამიწერეთ, რომ ჩვენ დაბლაგვებული ხმლები ვეაქვს და მართლა კი არა კვდება პირამოსი. ის კი არადა, თუ გაჭირდა, პირდაპირ ეუთხრათ: მე პირამოსს რომ ვითამაშობ, მართლა პირამოსი კი არა ვარ, ფეიქარი კოჭა ვარ. ამის მერე რაღა შეაშინებთ!

კ ო მ შ ა
დაწეროთ, მაგასაც რომ ბევრი რამე უნდა!.. რვა- რვა და ექვს-ექვს მარცვლიანი იყოს?.

კ ო ჭ ა
ბარემ ორიც დაუმატე — სულ რვიანი იქნება.

ღ რ უ ნ ჩ ა
ქალებს ლომისა არ შეეშინდებათ?

კ ნ ა ჭ ა
მეც ევ მაფიქრებს, ნამდვილად შეეშინდებათ.

კ ო ჭ ა
კარგად აწონ-დაწონეთ, ბიჭებო. ქალებთან ლომის შემოყვანას ეხუმრები?! — ღმერთმა დაგვიფაროს! — ში. შით ხომ სული გასძვრათ. ევ თქვენი ცოცხალი ლომი ყველაზე საშინელ მხეცადა თქმულა. კარგად უნდა აე- წონ-დაწონით.

ღ რ უ ნ ჩ ა
გამოვიდეს მეორე პროლოგი და, ევ ლომი არ არისო, გამოაცხადოს.

კ ო ჭ ა
არა, სახელი დაუუძახოთ პირდაპირ. თან, ლომის ტყავს რომ შემოიხვევს, ნახევარი სასე გამოაჩინოს. თქვას კიდეც, პირდაპირ ასე ილაპარაკოს: „ქალბატონ- ნებო“... ანდა, „მშვენიერო ქალბატონებო... მე მინდა, რამ“ ...ან „უნდა მოგახსენოთ“... ანდა „უმორჩილესად ვთხოვთ... ნუ შეგეშინდებათ, ნუ აკანკალდებით. თქვენ- თვის მზადა ვარ, თავი დაგდო. თქვენ რომ მართლა ლომი გეკონოთ, მტრისას, ცულად წავა ჩემი საქმე. არა, არც ლომი ვარ და არც არაფერი. მეც თქვენნაირი ადამი- ანი ვარ“... მერე ადგეს ბარემ და თქვას კიდეც თავისი ვინაობა. პირდაპირ უთხრას ზალბს, ხურო კოსტაპრუწა ვართ.

კ ო მ შ ა
შენ სხვა რამე თქვი! როგორ ვინდა, მთვარე ოთახში შემოიყვანო? აქ წერია — პირამოსი და თისზე მოვარის შეუქმე ხვლებიან ერთმანეთსო.

კ ო ს ტ ა პ რ უ წ ა
საერთოდ იქნება კი იმ ღამეს მთვარე, ჩვენ რომ მაც პიესის წარმოღვევნას ვაპირებთ?

კ ო ჭ ა
კალენდარი ნახეთ, კალენდარი! წიგნში ჩაიხედეთ. ახა ნახეთ, სად არის მთვარე! მთვარი მოძიებო!

კ ო მ შ ა
კი, მთვარე იქნება.

კოჭა

პოდა, მორნა. საცა პიესის დადგმას ვაპირებთ, იმ დარბაზში ერთი დარაბა ღია დავტოვოთ და იქიდან შე-
მოვა მთვარე.

კომშა

პო. ან არადა, ვინმე შემოვიდეს, ფარანი და ბუჩქები
შემოიტანოს და მთვარის როლს ეთამაშობო, პირდაპირ
გამოაცხადოს. ამას კი მოეულება, შენ ისა თქვი, გალა-
ვანს რა მოუხუხროთ; გალავანიც გვინდა დარბაზში.
პიესაში გარკვევით წერია, პირამოსი და თისბე გალაუ-
ნის ზერელში ელაპარაკებოდნენ ერთმანეთსო.

კოხტაპრუწა

გალავანს რა შეგვატანინებს ოთახში!.. პა, რას იტყ-
ვი, კოჭა?

კოჭა

გალავანს როლიც შეასრულოს ვინმემ. წაეთხიპნოთ
თიხით და ალიზით და გალავანი გამოვა. თითები ასე
გააკეთოს, თითქოს ზერელია. და პირამოსი და თისბეც
ამ ზერელში ეჩურჩულონ ერთმანეთს.

კომშა

ამასაც თუკი შემოეულება, მაშინ აღარაფერი არ
გვიჭირს. აგერ ჩამოჯექით, დედ-მამის სულგანათლე-
ბულებო, და თქვენ-თქვენი როლი გაიმეორეთ. აბა, და-
იწყე, პირამოს, და როცა მორჩები, ბუჩქებში შეძვერი.
სხვებმაც ასე ქნან, თავთავის სათქმელს რომ დაამთა-
ვებენ, ბუჩქებში შეძვრენ.

(სცენის სიღრმეში პაკი გამოჩნდება.)

პაკი

ეს ხეპრე ზალხი სად შეყრილა, რა თავს იგდებენ?
ზედ დედოფალის სარეკელთან ერთი ყოფა აქეთ!
პა, პიესაო? მაშ მუ გავწევ მყურებლობას,
და თუ გაჭირდა, გამოვდგები მსახიობადაც.

კომშა

აბა, პირამოს! შენც მოემზადე, თისბე.

კოჭა

თისბე, ძვირფასო, შენ ყვაეილო ხუნმოჩეულო...⁶

კომშა

სურნელოვანო, სურნელოვანო!

კოჭა

...შენ ყვაეილო სურნელოვანო,
შენს ტკბილ სუნთქვასაც საამური სურნელი ახლავს.
რა ხმაურია!.. ცოტა ხანი აქ დამიცადე.
მალევე მოვალ! ვინ ხმაურისს, გავალ და ენახავ.

(გაღის.)

პაკი (თავისთვის)

არგაგონილი, არნახული პირამოს ვასლავთ!
(გაღის.)

სტვირა

ახლა ჩემი ჯერია?

კომშა

შენია, მაშ ვისია! რით ვერ გაიგე — ხმაურს რომ გაი-
გონებს, იმის სანახავად გაღის და ხელაღვე შემობრუნ-
დება.

სტვირა

შროშანზე თეთრო, ო, პირამოს, შუქმომუხინარეც,
წითელ ვარდზედაც უწითლესო ასკილის ვარდო,
მარად ანკარა ბროლის წყაროც, ბროლის მდინარეც,
ცხენზე ერთგული, სულ რომ დარბის, დალღას არ
დარდობს.
ნინის საფლავთან დავიხვდები, ჩემო პირამოს!..

კომშა

„ნინუს საფლავთან“, კაცო, „ნინუს საფლავთან“...
ეგეც რომ არ იყოს, რა გეწქარება, ეგ ხომ პირამოსს
უნდა უპასუხო. მთელი როლი ერთბაშად გინდა დაფქ-
ვა — რეპლიკაცა და ყველაფერიც?.. შემოდი, პირამოს.
უკვე იყო შენი რეპლიკა — „დალღას არ დარდობს“.

სტვირა

ო... ცხენზე ერთგულო, სულ რომ დარბის, დალღას
არ დარდობს.

(შემოდინ პაკი და კოჭა, რომელსაც ვირის თავი აქვს
გამომპული.)

კოჭა

ლამაზი ვეყო, მხოლოდ შენი ვიქნები, თისბე!

კომშა

ამას რას ვხედაე! ვაი! ვაი! ავი სულები დაგვხვევია!..
არიქა! არიქა, თავს უშველეთ!.. მოგვეხმარეთ!..

(გაღის. მას მიჰყვებიან კოხტაპრუწა, სტვირა,
დრუნსა და კნაჭა.)

პაკი

არ მოგეშვებით, ტარაბუას დაგახვევთ ყველას,
შემოგატარებთ ტყვანტობს, ჯავნარს, ბარდსა და ეკალს,
ვიქცევი მწვერად, ტახად, დათვად, ცეცხლად ვიქცევი,
გამოვკენთებით ყველით, ღრეით, ღუღლუნ-ღრუტუნით.

(გაღის.)

კოჭა

ნეტა რამ დააფეთა ეს ხალხი? მივახვედით ყალბა-ბანდობას — გინდათ, რომ შემაშინოთ, არა?

(შემოდის დ რ უ ნ ჩ ა)

დ რ უ ნ ჩ ა

ო, კოჭა, ამას რას ვხედავ! რა ვამოუბამთ მხრებზე შენთვის!

კოჭა

რას უნდა ხედავდე, შე ვირისთავო შენა?!

(დ რ უ ნ ჩ ა გადის. შემოდის კ ო მ შ ა)

კ ო მ შ ა

ღმერთი იყოს შენი შემწე. კოჭა, ღმერთმა გიშველოს! ეს რა ღლეში ჩაუგდინხართ!

(გადის.)

კოჭა

მივხედავთ მაგ ყალბაბანდობას. დიდყურა ვირი ხომ არ გვიწინავართ, რომ ასე ადვილად ვამაცუროთ! უნდათ, რომ შემაშინონ. ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. აბა, სცადეთ, შემაშინეთ. აგერ გავივლ-გამოვივლი ჩემთვის არხეინად და სიმღერასაც შემოვძახებ. აჰა, თუ შეშინა.

(მღერას.)

შაგი შაშვი, ნისკარტწვრილი,
ჩიტუნები რადარა —
აქ შოშია ზის ხმატკბილი,
იქ — ნიბლია, პატარა.

ტ ი ტ ა ნ ი ა (იღვიძებს)

რა ანგელოზმა გამაღვიძა, ნეტა ვიცოდე.

კოჭა

ტოროლები, ცად აჭრილი.
ბელურები, სკვინჩები.
ცით გუგულის მოძახილი,
ხალხის გამოჯიბრებით.

თუმცა იმისთანა სულელი ჩიტია, რამდენიც არ უნდა ეჩინოს, რას შეასმენ? სულ „გუ-გუს“ კი გაიძახის, მაგრამ ვინ გაუბედავს, მატყუარა ხარო!

ტ ი ტ ა ნ ი ა

კადეკ იმღერე. გეხვეწები, ძეხორციულო,
სძენა დამიტკბო შენმა ტკბილმა საგალობელმა,
თვალეები ისე მოიხიბლა შენი მშკენებით,
შენი გმირული შემართებით და საინოებათ,
რომ შეგხედე და შემოეყვარდი ერთი შეხედვით.

კოჭა

შაინცდამაინც გონივრული ვაღაწვევტილება ვერ მი-გაღია, ქალბატონო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, გონება და სიყვარული ამ ბოლო ხანებში დიდად ვერ ეწყობიან ერთმანეთს. მით უფრო სამწუხარია, რომ ჰატიოსანი მე-ხობლებიც არ ცდილობენ, შეარიგონ. აჰა, ხუმრობაც შემძლება, თუ დამჭირდა!

ტ ი ტ ა ნ ი ა

ასე მშვენიერს, შესაფერი ჭკუაც ვქანია.

კოჭა

არც ეგ უნდა იყოს მთლად მართალი. მაგრამ იმდენი ჭკუა თუ გამოვიჩინე, რომ ტყვიდან გასვლა მოეახერხე, შეტი არც მინდა.

ტ ი ტ ა ნ ი ა

ამ ტყვიდან გასვლას აგრერივად ნუ ეშურები. გსურს თუ არა ვსურს, სულ ერთია, ჩემთან დარჩები. დღელოფალი ვარ ფერიათა, სწორუბოვარი, ჩემს სამეფოში გამუდმებით ზაფხული სუფევს, და რაკი ასე შემოეყვარდი, შენც თან წაგიყვან. ფერიებს მოვცემ — იმსახურე, რამდენიც გინდა, სღვათა სიღრმიდან თვალ-მარგალიტს ამოგიღებენ. ვარდ-ყვავილებში წაძინებულს, ნანას გიმღერენ... შენს სხეულს მიწით დამძიმებულს, ისე გარდაექმნი, და ისე გავწმენდ — ცაში იფრენ ფერიასავით. აბა, მიუხედო! აბლაბუდა! მდოგვო! ფარვანავ!

(შემოდის ო თ ხ ი ფ ე რ ი ა)

I ფ ე რ ი ა

აქა ვარ.

II ფ ე რ ი ა

აქ ვარ.

III ფ ე რ ი ა

მეც.

IV ფ ე რ ი ა

მეც აქ ვარ.

ო თ ხ ი ე ე რ თ ა დ

საით გავფრინდეთ?

ტ ი ტ ა ნ ი ა

ამ კაცს ეახლეთ თავაზითა და მოკრძალებით, მის წინ იხტუნეთ, იცეკვეთ და იმხიარულეთ, ყურძნით, გარგარით, ლეღვითა და მაცვალთ კვიბით, ფიჭვიდან თაფლი გამოწურეთ და ის მიართეთო, სილი ფუტკრების ცვილოვანი ფეხებისაგან წვრილი ხანოლები ჩამოჭქენით, ციცინათალების

ელვარ თვალბზე მოუკიდეთ და ამ სანთლებით
დასაძინებლად მიაცილეთ ჩემი ტრფიალი;
პეპლებსაც ფრთები მოვლიჯეთ და მთვარის სხივები
მერე ამ ფრთების მარათი თქვენ მოუწრდილეთ.
თავი დახარეთ მის წინაშე. თავვანი ვცით.

I ფ ე რ ი ა

ჩემი სალამი ძე-ხორციელს!

II ფ ე რ ი ა

ჩემი სალამიც!

III ფ ე რ ი ა

ჩემიც.

IV ფ ე რ ი ა

ჩემიც.

კ ო ჭ ა

სულით და გულით მადლობას ვიძღვნით... თქვენს
სახელს ვერ მეტყვი, ბატონო?

ა ბ ლ ა ბ უ დ ა

აბლაბუდა.

კ ო ჭ ა

გულით მონატრული ვარ, უფრო ახლოს გავიციანთ,
ბატონო აბლაბუდა. თითი თუ გავიჭერი, არ მოგერიდე-
ბით და პირდაპირ მოგადგებით!... თქვენი სახელი, ბა-
ტონო?

მ უ ხ უ ლ ო

მუხულო.

კ ო ჭ ა

თუ ძალიან არ შემწიწუნდებით, დედათქვენი კვახი და
მამათქვენი ცერცვი მომიკითხეთ, ჩემო ბატონო. თქვენ-
თან დაახლოების მონატრულიც ვარ, ბატონო მუხულო.
თქვენი სახელი, ბატონო?

მ ღ ო გ ვ ი

მღოგვის მარცვალი.

კ ო ჭ ა

ვაიმე, ჩემო საყვარელო მღოგვი, თქვენი მოთმინების
ამბავი რომ ვიცი! იმ უსინდისო, წაწერილებულ სუკის
ნაჭრებს რამდენი თქვენისთანა პატიოსანი მღოგვის
მარცვალი მოუწილებია. იმათი ცოდვა-ბრალით აგერ,
ახლაც კი მეცრემლება თვალები. თქვენთან დაახლოები-
საც დიდი მონატრული ვარ, ბატონო მღოგვის მარც-
ვალო.

ტი ტ ა ნ ი ა

აბა, გაჰყევით, მიაცილეთ ჩემს თალარამდე.
მთვარეს თვალები ეცრემლება, აქედან ვატყობ,
და მის ტირილზე ყვაილებიც ცრემლებსა ღვრიან,
შეურაცხყოფილ უბიწობას თუ მისტირიან!
გაჰყევით, პირი აუკარით, უხმოდ იარეთ.

(გაღან.)

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

იგივე ტყე, ოღონდ სხვა ადგილას.

შემოდის ო ბ ე რ ო ნ ი.

ო ბ ე რ ო ნ ი

ნეტა ვიცოდე, ტიტანიამ თუ გაიღვიძა,
ან, გაღვიძებულს, სულ პირველი რა მოხვდა თვალში,
რა შეიფვარა ტრფობის ცეცხლით აღმოდებულმა?!
აგერ, შიკრიკიც.

(შემოდის პ ა კ ი.)

აბა, ჩემო გადარეულო,
მითხარ, რა მოხდა ფერიებით გაჭედილ ტყეში?

პ ა კ ი

ვილაც ურჩხული შეუფვარდა დედოფალს ჩვენსას.
ზედ იმის წმინდა სარეცელთან, აქვე, მახლობლად,
სადაც განცხრომით დედოფალი ძილს მისცემოდა,
ჯგროდ შემოლაგდნენ ათენელი მდაბიოები —
ლუკმა-პურისთვის ქუჩა-ქუჩა მომუშავენი...
გაღუწვევით რომ თეზესის ქორწინებაზე
რალაც უმგვანი წარმოდგენა ვაითამაშონ
და აქ მობრძანდნენ იმ პიესას მისამზადებლად.
ყველაზე ხეპრეს იმათ შორის კისრად უღვია
პირამოს როლი, და ცოტახნით როცა გავიდა,
მეც დრო ვიხელთე, თან მიეჰყევი და იმ ბურქებში,
მხრებზე დიდყურა ვირის თავი დაკადგი ხელად...
თისბე სცენაზე იყო ამ დროს, ელიდებოდა,
და როცა ჩემს ვირს თვალი ჰკიდეს დანარჩენებმა, —
გარეულ ბატებს მონადირე რომ შეაშინებს,
ან ბედურები თოფის ხმაზე რომ დაფრთხებიან,
აიშლებიან დაფეთებით, ასტებენ ჭყვილს
და გიჟებით ცის კამარას ეკვთებიან, —
ამათაც ისე მოუვიდათ, როცა დაღანდეს,
თავქუდმოკლეჯით გაკარდნენ და გადაიკარგნენ...
მე ვითომ მივდე, ყიხის ტყაუნს მოვჰყვები უცბა,
ძირს ეცემიან, ათენიდან ითხოვენ შველას,
მოგეკლესო, ასე გაჰკვირან. ისიც ჭკვასუსტებს
შიშმა სულ თავგზა აუბნია, გამოაღენწა.
ეკალ-ბარდებიც მიეუსიე — ხან ქუდებს გლეჯდნენ,

ხან ზელებსა და ტანსაცმელზე ეჭარებოდნენ...
იქ თავშეკვლილი პირამოსი დაეტოვე მხოლოდ.
უეცრად ეხედავ, დედოფალმაც გამოიღვიძა,
პირველად ამ ვირს ჰკიდა თვალი და შეუყვარდა.

ო ბ ე რ ო ნ ი

ამნაირ ბოლოს, სწორე გითხრა, კერც ვინატრებდი.
ახლა მითხარი, იმ ათენელს, მე რომ გიბრძანე,
თუ მოახხურე წამწამებზე ტრფობის სამსალა?

პ ა კ ი

მავრად ეძინა, მე რომ ენახე... მაგასაც მოვრჩი...
იქვე ათენელ გოგონასაც ჩასძინებოდა.
და პირველს იმ ქალს დაინახავს, გაღვიძებული.

(შემოდან პ ე რ მ ი ა და დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი.)

ო ბ ე რ ო ნ ი

ჩემად იყავი! აგერ სწორედ ის ათენელი.

პ ა კ ი

ქალი ის არის... ამ ყმაწვილს კი პირველად ეხედავ.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

იმას რად ჰკიცხავ, ეისაც გულით შეყვარებხარ?!
ასე მწარედ ხომ მტვრისაც არეინ არ გაამწარებს.

პ ე რ მ ი ა

ჯერ გკიცხავ მხოლოდ — უარესებს მერე ელოდე,
თავს დაგატყდება რისხვად ჩემი წყევლა და კრულვა:
სისხლში მოთხვრილხარ ერთიანად თავით ფეხამდე.
თუ მართლა მოჰკალ შენ ლისანდრე, წამინებული,
ბარემ შეცურდი ერთხელ კიდეც სისხლის მირეკში
და მეც მომკალი.

ნათელი დღისთვის მხეც არ არის ისე ერთგული,
რა ერთგულადაც მე ლისანდრე მექცევა მუდამ,
როგორ — დატოვოს მან მძინარე პერმია მარტო
და თვითონ სადღაც გაიპაროს?! მაგაზე უმალ
იმას ვირწმუნებ — დედამიწა შუა გაიპოს,
შავ მთვარე გაძვრეს, გაიაროს მიწის წილი
და, იქით მხარეს გამოსულმა, თავისივე ძმას —
შუადღის ცაზე გასულ მნათობს — გული დაწყვიტოს!
არა, ნამდვილად მოკლული გყავს ჩემი ლისანდრე,
სახეც მკვლელის ვაქვს, საშინელი და არეული.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

მკვლელის კი არა, მკვდრის სახე მაქვს.

ვარ კიდეც მკვდარი,

შენი სიაყე-მრისხანებით გულგაპობილი.
შენ კი, მკვლელს ჩემსას, იმნაირად გიბრწვინავს სახე,
თითქოსდა ცაზე მოციმციმე ვარსკვლავი იყო.

პ ე რ მ ი ა

შენ მაგიო ლისანდრს შეურაცხყოფ. სად არის, მითხარ?
ო, დემეტრიოს, სთქვი, ლისანდრეს არ დამიბრუნებ?

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

უმალ ჩემს ძაღლებს გადაუგდებ საჯიჯგნად მძორსა.

პ ე რ მ ი ა

შენ თვითონ ძაღლი და წუპაკი, თავიდან მომწყვდი!
ქალის რიდსა და მთმინებას ნუ მაკარგვინებ.
მაშ, მოჰკალ განა?! შენ, კაცთაგან შეჩვენებულო!
ამ ერთხელ მაინც მართალი სთქვი, სიმართლე მითხარ!
გამოღვიძებულს შიშით თვალიც ვერ ვაუსწორე
და ძილში მოჰკალ? ბარაქლა შენს ვაუკაცობას!
ამას ხომ გველიც, ასპიტაც ვერ მოახერხებდა.
მაგრამ ასპიტმა მოჰკლა სწორედ, რადგან თვით

გველსაც,

ასე არავინ დაუგესლავს ორკაპა ენით.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ტყუილუბრალოდ მიცხარდები, ლისანდრეს სისხლში,
თუ დამიჯერებ, ხელი სულაც არ გამისვრია.
არც არის მკვდარი.

პ ე რ მ ი ა

რაო, რა სთქვი? გემუდარები,
მართალი მითხარ, მაშ, ლისანდრე ცოცხალი არის?

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ეთქვათ, რომ გითხარი — რას მპირდები სამაგიეროდ.

პ ე რ მ ი ა

ჯიღღღოს!.. რომ მეტად ვედარასდროს ევლარ დამლანდავ.
დასანახადაც მეზაზღები. ვერც მნახავ მეტად —
გინდ მკვდარი იყოს ლისანდრე და გინდა ცოცხალი.

(კალის.)

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

რაღა აზრი აქვს მაგის დევნას. სულ გაკაპასდა!
ბარემ დავრჩები და ცოტახანს აქ დავისვენებ.
დამწუნებულ გულს უძილობა უფრო ამძიმებს...
აგერ თავს მივღებ — დაე ძილმა, გაკოტრებულმა,
გულს დაუბრუნოს თავის ვალი და შვება მისცეს.

(წვება და იძინებს.)

ო ბ ე რ ო ნ ი

ეს რა გიქნია?.. ყველაფერი ავირევი!
ტრფობის სამსალა სწორედ მისთვის ჩავისხამს თვალში,
ვინც უმისოდაც სიყვარულით კარგავდა ჭკუას:
იმის ნაცვლად, რომ ორგულისთვის გაგვტობი გული,
ტეშმარიტ მიჯნურს ერთგულება დააკარგვინე.

პ ა კ ი

ეს ბედისწერის კანონია: ერთი ერთგული
და მილიანი ორგული და ფიცის გამტეხი.

ო ბ ე რ ო ნ ი

ახლა წადი და ტყეს ქარივით ჩამოუქროლე,
ის ათენელი გოგო უნდა მოძებნო სწრაფად,
ელენე ჰქვია... ფერმიხდილი დაეხეტება,
ობრაფს და ხენემის გულმოკლული და სისხლგამშრალი,
აქეთკენ უნდა გამოუძღვე, გამოიტყუო,
მე კი მანამდე ამ ვაუბატონს მოვაჯადოებ.

პ ა კ ი

თვალსაც ვერ მოშკრავ, ისე წაეალ... აბა, გაფერინდი,
თათრის მშვილდისვან ასხლეტილი ისრის სისწრაფით.

(გადის.)

ო ბ ე რ ო ნ ი

ყვავილო ტკბილო, წითლად ნაღებო,
ამურის ისრით დაჭრილო თავად,

(ღემეტრიოსს თვალეში ჩააწურავს ყვავილს.)

ამ ყმაწვილს თვალში ღრმად გაუჯექი
და ყველაფერი თავისით წავა –
რომ გაიღვიძებს და დაინახავს,
მოეჩვენება აშოლტილ ლერწმად,
ვენერასავით ნათელის მფრქვეველს
მერე თვითონვე დაუწყებს ხვეწნას.

(შემოდის პ ა კ ი.)

პ ა კ ი

ჩემო მეუფე და ამაგდარო,
ელენე ახლა აქეთკენ ჩქარობს,
ის ახალგაზრდა, გულდათუთქული,
ასდევნებია ძუნძულ-ძუნძულით.
აქვე არიან, ჩვენგან სულ ახლოს...
აგერ დაედგეთ და სეირი ვნახოთ.

ო ბ ე რ ო ნ ი

განზე მიდექი, მავათი დავა
ღემეტრიოსსაც დაუფრთხობს ძილსა.

პ ა კ ი

რას გაიხარებ!.. ორივე ბიჭი
ერთ საწყალ გოგოს დაუწყებს ღიჭინს!

(შემოდან ე ლ ე ნ ე და ლ ი ს ა ნ დ რ ე.)

ლ ი ს ა ნ დ რ ე

რატომ გონია, რომ დაგცინი და მასხრად ვიგდებ?
სად გავონილა, დაცინვის დროს სტიროდეს კაცი,
მე კი, ხომ ხედავ, საკუთარი ცრემლები მახრჩობს!
ფიცა, ცრემლებით დაღებული, წმიდაა მუდამ.
როგორ იქნება, დაცინვად და ზიზღად მიიღო
აღთქმა, რომელსაც ასე წმიდა სამოსი მოსაეს!..

ე ლ ე ნ ე

შენს ვერაგობას აღარ უჩანს ზღვარი და ბოლო;
ჭეშმარიტ ფიცს რომ ჭეშმარიტი ფიცითვე ჰკლავენ,
ჯოჯოხეთურად წმიდა ბრძოლა ჰქვია ამ ბრძოლას.
აკი პერმეას მიუძღვნენ ეს შენი ფიცი!
ძალიან ბევრი მოგივიდა? ასწონე ბარემ,
და დარწმუნდები, აწონადაც არ ღირებულა.
ერთ პინზე დადე ჯერ ეს ფიცი, რასაც მე მიძღვნე,
მეორეზე კი – პერმეასთვის რაც მიგიძღვნია,
სასწორის ენა ერთ დონეზე დადგება მაშინ,
ბუმბულის წონაც არ ექნება ორივე აღთქმას.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ტვინი მქონია არეული, მას რომ შეეფიცე.

ე ლ ე ნ ე

მე კი მგონია, არც ახლა გაქვს დალაგებული.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ღემეტრე ჰკარგავს მასზე ჭკუას. შენ – არ უყვარხარ.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი (იღვიძებს)

ო, ჩემო ელენ, ჩემო ნიშნა, ჩემო ღვთაება,
შენი თვალების ელვარება რას შეეადარო:
ბროლი სად მოვა მაგ თვალეთან – ამღვრეული ჩანს.
შენს მწიფე ტუჩებს, ალუბალის სისავსე ახლავთ
და საკოცნელად მუცხაზიან, ვით ალუბლები.
ხელი ასწიე – სინატიფე მაგ შენი მკლავის
თავრიზის მთებზე გადაფენილ ქათქათა თოვლსაც
ხელადვე ყორნად გადააქცევს და ჩააშავებს.
უფლება მომე, გეამბობრო ბროლის დედოფალს.

ე ლ ე ნ ე

ოი, სირცხვილო! ჯოჯოხეთო!.. პირი შეეცარავთ,
რომ გამამახროთ და უტიფრად თავი გაირთოთ.
თქვენ რომ ზრდილობა და ნამუსი გქონიდათ ოდნაც,
თავს არ მომჭრიდით, ამნაირად არ გამწირავდით.
ვიცი რომ გძულვართ – სიძულელი მიინც მაკმარეთ,
დაცინვასა და გამახსრებას რას შემართლებით?
ვაკაკაც კი ჰგავხართ, და სულიც რომ ეაკაკიც

გქონდეთ,

ქალის ამგვარი გაწვალება სად გავონილა!
მაქებთ, მადილებთ, მეფიცებით ერთგულ სიყვარულს,
მაგრამ ხომ ვიცი, სიძულელით სავსე ვაქვთ გული.
პერმეასათვის რომ ქიშპობდით, ეს ყველამ იცის,
ახლა ჩემს მასხრად აგდებამიც შექიშპებულხართ.
აფერუმ მაგ თქვენს გმირობასა და შემართებას –
საბრალო გოგოს დაცინით და ცრემლს აფრქვევინებთ.
კაცური კაცი ამას იზამს – თავშესაქცევად
უმწეო ქალის მოთმინება ჯიჯგნოს და წაწკრის?!

ლ ი ს ა ნ დ რ ე

კმარა, გეყოფა, ღემეტრიოს, ეგ უზამსობა!
შენ ჰერმიაზე ჰკარგავ ჭკუას, ეს ყველამ იცის.

ბოდი კეთილი სურვილებით, სულით და გულით,
ჰერმია შენთვის ღამითმია. შენ კი, სანაცვლოდ,
ტურფა ელენეს სიყვარული უნდა ღამითმო.
რადგან მიყვარს და მეყვარება სიკვდილის დღემდე.

ე ლ ე ნ ე

ჯერ კაციშვილი ასე მასხრად არ აუვლიათ.

ღ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

შენი ჰერმია ვის რად უნდა — შენ თვითონ გყავდეს.
ის დრო წავიდა, თუ ოდესმე მართლა მიყვარდა,
სტუმრად ყოფილა ჩემი გული მასთან აქამდე,
და ახლა ისევ შინ ბრუნდება თვის ელენესთან,
რომ საშუალოდ მასთან დარჩეს.

ღ ი ს ა ნ დ რ ე

არ ენღო, ელენ.

ღ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

თვით ფიცის გამტებს, სხვაც ორგული ნუ გეჩვენება,
თორემ, იცოდე, თავს წააგებ მაგ სიგლახისთვის.
შენი ტრფიალი აგერ მოდის, იმას მიხედე.

(შემოდის ჰ ე რ მ ი ა.)

ჰ ე რ მ ი ა

ღამის წვედადმა თვალს ერთიან მოუსპო საქმე,
სამაგიეროდ ყურთასმენა გაგვიმახვილა —
რაც თვალს დააკლო, ის ორმაგად ყურს დააკისრა.
ჩემმა თვალებმა შენი კვალი დაჰკარგეს, ლისანდრ,
და, მაღლობა ღმერთს, ისევ სმენამ მომაგებინა.
ისე უგულოდ რად დამტოვე?

ღ ი ს ა ნ დ რ ე

რისთვის შეცადა,

თუკი გულს აქეთ სიყვარული მოუწოდებდა.

ჰ ე რ მ ი ა

რა სიყვარულმა მოგაშორა ჰერმიას, ლისანდრ?

ღ ი ს ა ნ დ რ ე

ტურფა ელენეს სიყვარულმა. მისმა მშვენებამ
ეს ცეცხლოვანი მნათობები ხულ ჩაამუქა.
ნეტა, რას დამდევე, ვეღარ მიხვდი, ვეღარ შეიგნე,
რომ მესახლეები და მიტომაც დავტოვე ისე?

ჰ ე რ მ ი ა

ვერ დავიჯერებ. სხვას ფიქრობ და სხვას ღაპარაკობ.

ე ლ ე ნ ე

ესეც შეთქმული არ ყოფილა! ახლა კი ვხედავ,
ჩემს წინააღმდეგ ამათ ერთად შეუკრავთ პირი,
რათა სამივემ ყბად ამიღოს და გამამსხროს.
გულქვა ჰერმია! უსადღური და ღვარძლიანო,
ასე ბინძურად ვამბიქტე?! ამათ აწყევლი!

ეს იყო ჩვენი მეგობრობა, როცა ერთმანეთს
დობა შეეფიცეთ, საიდუმლოც საერთო გვექონდა,
და სწრაფად მავალ დროს ვკაცხავდით,

გულდაწყვეტილი,

როს ერთმანეთთან განშორების ჟამი ღვებოდა...
ასე მიეტეს დავიწყებას სუყველაფერი?!
სკოლის დღეებიც? ის ბავშვური უმანკობაც?
ნუთუ არ ვახსოვს, როგორც ორი ხელმარჯვე ღმერთი,
ერთად ვისხედით და ორივე, შთაგონებული,
ნემსით ვკარგავდით ერთ ტილოზე მხოლოდ ერთ
გვაკვილს,

თან კი ვმღეროდით, ხმაშეწყობით. თითქოს ხელეზიც,
ხმაცა, გონებაც, ფიქრი ჩვენი, მთელი არსება,
ერთი მოღიანი ყოფილიყოს, განუყოფელი.

ასე, ამგვარად ვიზრდებოდათ. როგორც ალუბლის
ორი მარცვალი, გამოზმული ერთ ფუნწზე წყვილად —
სხვადასხვაც ითქმის, და თან თითქოს მოღიანიც არის,
ჩვენც ამგვარადვე — ერთი გული გვექონდა ორ სხეულს?.

ჩვენს ძველ სიყვარულს გამეტებით იგლეჯე გულიდან
და მამაკაცებს უერთდები, რომ საწყალ დობილს
დატინვით სული გაუმწარი! ვიშ, ამ ქალობას.
ვიშ, ამ ჭეშმარიტ მეგობრობას!.. შე მჩაგრავ მარტო,
მაგრამ იცოდე, ამ სიაცეს არ ვაპატიებ
ქალების მოდგმა საზოგადოდ, ქალის ბუნება.

ჰ ე რ მ ი ა

ვერ გამოვიცა, რას გაცხარდი და გააღმასდი.
რას დამცინიო!.. მე დავცინი თუ შენ დამცინი?!
ე ლ ე ნ ე

შენ არ იყავი, ლისანდრე რომ შექმომინიე —
ხან თვალებს მიქებს დაცინვით და ხან პირისახეს.
შენი მეორე მოტრფიალე ღემეტრიოსიც,
რომელიც აგერ ხულ ახლახან წახლებს მესროდა,
აღბათ შენივე დავალებით ამკადებია
და მოსვენებას აღარ მაძლევს — ხან ღმერთს მემახის,
ხანაც ფერიას, ღვთაებას და ზეცის მშვენებას!..
თავის სამუღლეულს ამ სიტყვებით რატომღა მამკიებს?
ანდა ლისანდრე, შენი ტრფობით ვაგვიქებული,
რატომ უარჰყოფს ამ ძველ ტრფობას და

გულმზურვალედ

რად მეფიცება მე სიყვარულს და ერთგულებას?!
შენი საქმეა ყველაფერი, შენ მომიჩინე.
რა ვუყვით მერე, შენსავით თუ არ მწყალობს ბელი,
თუ სიყვარულში შენაირად არ ვამიმართლდა,
თუ უიმედოდ შეყვარებულს — მე არვინ მეტრფის?..
რადას დამცინი — შებრალების მაგიერია?!

ჰ ე რ მ ი ა

გისმენ და მაინც ვერ მივმხედარეკარ, რას ღაპარაკობ.

ე ლ ე ნ ე

ასე, ჰო, ასე, მოიღუშე ჩემს ღასანახად,
და როცა იქით მივბრუნდები, მაშინ იტყვანო,

ერთმანეთს თვალი ჩაუკარით და იქირქილეთ;
შთამომავლობაც შეინახავს მაგ ოხუნჯობას.
გული რომ გქონდეთ, შებრალება და ან ზრდილობა,
ასე სამასხროდ და სათრეველად აღარ გამხდებით.
კარგად იყავით. ალბათ ბრალი შეცა მაქვს ცოტა.
ან გადახვეწით, ან სიკვდილით გამოვისყიდო.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ელენ, ძვირფასო, სად მიდიხარ, მე მომისმინე,
ჩემო სიცოცხლე, ჩემო სული და სიყვარულო!

ე ლ ე ნ ე

ო, ბარაქალა!

ჰ ე რ მ ი ა

რას დასცინი, ჩემო ძვირფასო!

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

თუ შენი თხოვნა ვეღარა სჭრის, ძალა მე მკითხოს.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ვერც მაგის თხოვნა შემაკავებს, ვერც შენი ძალა.
შენი მუქარა ვედრებაზე უფრო ვერ გასჭრის...
მიყვარხარ, ელენ, ო, მიყვარხარ, სიცოცხლის მადლმა
და მაგ სიყვარულს გეფიცები, თავსაც შევაკლავ,
თუ ვინმე შეტყვის არ გიყვარსო ტურფა ელენე.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

მითქვამს და ვამბობ, მე მიყვარხარ მაგაზე მეტად.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

მამ ხმალი იძვრე, დამიბტიკე შენი სიტყვები.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

აბა, გამოდი!

ჰ ე რ მ ი ა

რახა შერები რას სწავდი, ლისანდრ!

ლ ი ს ა ნ დ რ ე

თავიდან მომწყვდი, გახუხული ეთიოპელო.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

აბა, ყმაწვილო!.. გულიანად რომ იქაჩები,
ერთ ადგილზე რომ ფაზიფუხობ... ფეხს რად არ იცვლი.
მოთვინიერდი, ვაუბატონო?!

ლ ი ს ა ნ დ რ ე

მომშორდი-მეთქი,

თავიდან მომწყვდი, კატაე, ბირკა! აქოთებულო,
თირემ გველავით მოგისვრი და ძირს დაგანარცხებ.

ჰ ე რ მ ი ა

შენ ხუმრობ, ალბათ!

ე ლ ე ნ ე

რა თქმა უნდა. შენც აკი ხუმრობ.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

მე ჩემს სიტყვებზე, დემეტრიოს, კვლავ მაკრად ედგაყარ.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

მაგას მეც ვხედავ, რომ დგახარ და ფეხს აღარ იცვლი,
შენი სიტყვების აღარ მჯერა.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

მაშ, რა უნდა გქნა?

დავასახინრო? ძირს დავაგდო და მოვეკლა ბარემ?
მძულს, მაგრამ მაინც მოსაკლავად არ მემეტება.

ჰ ე რ მ ი ა

მძულსო... მაგაზე საშინელი რა უნდა მიქნა!
გძულვარ? რად გძულვარ, ჩემო კარგო? რა დაგეჰმართა?
ნუთუ ჰერმია აღარა ვარ? არც შენ ხარ ლისანდრ?
რაც დღემდე ვიყავ, ახლაც ის ვარ, ისევე კარგი.
აკი გიყვარდი წუხანდლამდე? რად მამატოვე?
ჰა, რად დამტოვე მართოდ მართო? ღმერთო მიშეუელ!..
ნეტა, მართლა თუ არ ვიყვარვარ?!

ლ ი ს ა ნ დ რ ე

მართლა, ღმერთმანი!

და აღარც მინდა ამის შემდეგ თვალი შეგაკლიო.
ბედს შეურიგდი, რაღას არკევე, რაღას ირჭოფობ.
ცხადზე ცხადია — შენ მძულხარ და ელენე მიყვარს.
ნულარ გგონია ეს ხუმრობა.

ჰ ე რ მ ი ა

ჰოი, ვაგლას მე!

ახ, შე ჯამბაზო, გაიძვერავე, ყვაილის მატლო,
ქურდო და წუწკო! შუადამით რას მოგვიცოცდო,
რატომ მომპარე ასე უღვთოდ მიჯნურის კული.

ე ლ ე ნ ე

ო, ბარაქალა შენს ქალობას! სად დაგიკარგავს
ქალური კდემამოსილება, სირცხვილ-ნამუსი?
გსურს გამაცხარო და უკმეხად მალაპარაკო?
ფუი, სირცხვილო! შე ტიკინა, შე გაიძვერა!

ჰ ე რ მ ი ა

ჰა? ტიკინაო? ხომ მიგიხვდი მაიმუნობას!
სიმაღლეში სურს შემეჯიბნოს, სიმაღლით მსიგრავეს!
ამ ტანაყრილ ქალს დამიხედეთ! ამ წოწლოკინას!
წოწლოკინობით მოუგია ყმაწვილის გული!
და ღირსებითაც მაგის თვალში მითომ ამადლდა,
რომ მე ასეთი დალეული და ქონდარა ვარ?
დალეული ვარ, ჰა, წერწიტა მათის კეტო?!
სოქკი, რას განუძმი! გედაბლები თვალში ძალიან?
არა, არც ისე დაბალი ვარ, რომ ამ ფრჩხილებით
თვალეში ვერ გწვდე და ბუდიდან არ ამოვთხარო.

ელენე

მასხრად ავდება მამყოფინეთ, ო, ბატონებო, ამისგან მაინც დამიფარეთ; ჭინჭყელი არ მიყვარს, სუსტი ქალი ვარ, მორჩილი და გაუბედავი. ნუ გამოუშვებთ, არ შემომკრას. ხომ არ გგონიათ, რომ, რაკი ჩემზე დაბალია, გავეუკლავდები!

ჰერმია

დაბალიაო! გაიფონეთ? კიდევ თქვა, განა!

ელენე

ასე ხასტიკად ნუ მექცევი, ჩემო ჰერმია, მუდამ მიყვარდი, გიჯერებდი, რჩევას გკითხავდი. არ მახსოვს. შენთვის მელაღატოს, ჩემო ძვირფასო, ერთი ეს იყო, დემეტრიოსს შევატყობინე თქვენი ამ ტყეში გამოპარვის ამბავი გუშინ, და ესეც მისმა სიყვარულმა ჩამადენინა. რად გინდა მერე — მაინც მლანძღავს, შინ მერეკება, წიხლსა მკრავს, ცემით მემუჭრება, მოკვლას მიქადის, გამომვი ახლა, ათენისკენ წავეხეტები და ჩემს სიგიჟეს თან წავიღებ. ნუღარ დამიჭერ, გამომვი, წავალ; ხომ უყურებ, რა მორჩილი ვარ.

ჰერმია

რას უცდი, მერე? წადი ბარემ, ვინ გექაჩება!

ელენე

ამ ჩემ სულელ გულს ვტოვებ აქ და ის მექაჩება.

ჰერმია

ვისთანა ხტოვებ? ლისანდრესთან?

ელენე

დემეტრიოსთან.

ლისანდრე

ხელსაც ვერ გახლებს შენ ჰერმია, დამშვიდდი, ელენ!

დემეტრიოსი

მართლაც ვერ ახლებს... შენ ხომ შეველი! მაინც ვერ ახლებს.

ელენე

მტრისას, ჰერმია თუ გაცხარდა და აიწყვიტა... ჯერ სკოლაშიაც ქაჯი იყო, ქვეყნის ამკლები... ხომ პატარაა, მაგრამ მტრისას, თუ გააღმასდა.

ჰერმია

კიდევ „პატარა“! არაფერი არ ახსოვს მეტი, სულ „პატარა“ და „ტანდაბალი“ აკრავს ენაზე. რას ავლებინებთ მასხრად ჩემს თავს? მიმიშვით, ერთი...

ლისანდრე

იქით, შე მდილო, შე ქონდარა, შე ნაბოლარა, თავიდან მომწყედი!

დემეტრიოსი

დალიანაც ნუ იქაჩები. იმის გულს მაინც ვერ მოიგებ, ვისაც შენ სძულხარ. ელენეს თავი დაანებე, ნურც კი ახსენებ, შეველასაც არვინ გეზეწვება. ოღნავადაც კი, სულ ერთი ბეწო სიყვარული რომ შეგამჩნიო, ძვირად დაგვისვამ.

ლისანდრე

ახლა მაინც არავინ მიჭერს. წამო, მომეყვი, თუ ბიჭი ხარ, და დავამტკიცოთ ჩვენს შორის უფრო ვის ეკუთვნის ტურფა ელენე.

დემეტრიოსი

მოგვევ რას ჰქვია? ერთად გავალთ, გული თუ გერჩის.

(გაღიან ლისანდრე და დემეტრიოსი.)

ჰერმია

შენი ბრალია, ქალბატონო, სუყველაფერი. ფეხი არ გადგა, არ გაბედო!..

ელენე

შენ რას გენდობი! რა მესაქმება შენისთანა ოხერ-ტიალთან! ხელის სიმარდით თუ მაჯობებს, სამავიეროდ მე კანჭები მაქვს უფრო ერძელი და ვერ დამიჭერ.

(გადის.)

ჰერმია

თავბრუ დამეზვა, აღარ ვიცი, რა მივიფიქრო.

(გადის.)

ობერონი

აჰა, კვლავ შენი შეცდომა და დაუდევრობა... თუ განგებ აურ-დაურიე, შე გაიძვერა?

პაკი

შეცდომა მოხდა, დამერწმუნე, ჩრდილთა მეფეო... შენგანვე ვიყავ ხომ წინასწარ გაფრთხილებული, იმ ჭაბუკს იცნობ ათენური ჩაცმულობითო. რაღა ბრალი მაქვს? მეც ავდექი და ის წამალი ათენელ ჭაბუკს მოვასხურე თვალ-წამწამებზე... აღარც კი ენანობ, გამოვტყდები, ასე რომ მოხდა — მაგათ ჩხუბით და კინკლაობით ჩვენც გავერთობით.

ობერონი

ხომ ნახე, როგორ გაეშურნენ ხმაღში საბრძოლად, შენც გასწი, რობინ, და ეს დამე სულ ჩაუბნელე.

მბრწყინავ ვარსკვლავებს ნისლის ჯანი ვადაკარი,
რომ აქერონზე უფრო მეტად ჩაშავდეს ზეცა.
ამ ფიცს მიჯნურებს აურიე სულ გზა და კვალი,
რომ ერთმანეთი თვალითაც კი ვეღარ დაღანდონ.
ხან, ადექი და, ლისანდრეს ხმით ალაპარაკდი —
სულ გადარიე აგზნებული დემეტრიოსი,
ხანაც მოსდექი და დემეტრეს ხმაზე ივინე,
აბორიალე აქეთ-იქით, მანამ მათ შუბლზე
ტყევის ევხებით და დამურავ დაძეძილ ფრთებით,
ძილი — სიკვდილის ზატება — არ მოიკალათებს.
მაშინ ამ ყვაილს დააწურავ თვალებზე ლისანდრს —
რაც ხელად მოხსნის იმ პირველი სამხალის ჯადოს,
თვალებს დაუწმენდს, გადაუყრის ნისლსა და ბურუსს,
და, გაღვიძებულს, წელანდელი მწარე შეცდომა
უსიამოვნო ზმანებად-ღა დაახსოვდება.
მერე გასწევენ ათენისკენ შეყვარებულნი
და სიკვდილამდე ვერაფერი მათ ვეღარ გაჰყრის.
მანამ ამ საქმეს მორჩებოდე, მეც ჩემთვის ვაწევე,
და ინდოელ ბიჭს გამოუტყუებ ჩემს ტიტანიას.
მერე იმასაც მოვხსნი ჯადოს, ურჩხულს გავაგდებ.
და ქვეყანაზე კვლავ მშვიდობა დაისადგურებს...

პ ა კ ი

უნდა ვიჩქაროთ, მბრძანებელო, თორემ ხომ ზედავ,
ღამის ურჩხულნი გამალებით ჰკვეთავენ ღრუბლებს,⁷
და გამობრწყინდა, აღმოსავლით, ავრორას მაცნეც⁸.
მის დანახვაზე გაფანტული სულები ტყეში
შეჩქვიფდებიან და გასწევენ სასაფლაოსკენ,
ხოლო სულები ცოდვილების — ვისაც სამარე
გზაჯვარედინსა და მღინარის ფსკერზე აქეთ ხოლმე⁹ —
მატლებით დაღრღნილ საფლავეებში დაბრუნდნენ უკვე,
დარცხენილები გაურბიან სინათლეს დღისას,
სამარადჟამოდ პირქუშ ღამეს დაუკავშირდნენ.

ო ბ ე რ ო ნ ი

ჩვენ სულ სხვაგვარი სულები ვართ. მე ჩემდა თავად,
რამდენჯერ ცისკრის მეგობართან მითამაშნია!¹⁰
მეტყევის დარად, უფლება მაქვს ტყეში ვიალის,
სანამ განთიადს ცეცხლი წითლად წაეკიდება
და მოელვარე, კურთხეული სხივები მისი
ყვითელ ოქროში არ გაახვევს ზღვის მწკანე ტალღებს.
აბა, წავიდეთ! გავეშუროთ, ნუღარ ზოზინებ,
გათენებამდე უნდა მოიჩრეთ ყოველგვარ საქმეს.

(ვადის.)

პ ა კ ი

აღმა-დაღმა, აღმა-დაღმა,
დაეტანტალებ აღმა-დაღმა...
ხან გამოღმა, ხანაც გაღმა
დაეტანტალებ აღმა-დაღმა...
აჰა, პირველი უკვე გამოჩნდა.

(მემოიდის ლ ი ს ა ნ დ რ ე.)

ლ ი ს ა ნ დ რ ე

სადა ბრძანდები, გაბღენძილი დემეტრიოსო?
ხმა ამოიღე!

პ ა კ ი

აქ განლავარ, შე არამზადა.
ხმაღამოწვდილი გელოდები. თვითონ სადა ხარ?

ლ ი ს ა ნ დ რ ე

მოვდივარ.

პ ა კ ი

მომეყ, გამოვძებნოთ ვაკე ადგილი.
(ლ ი ს ა ნ დ რ ე ვადის, ხმას მიჰყვება. შემოდის
დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი.)

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ხმას რად არ იღებ? შეგეშინდა? მოკურცხლე განა?
ო, მხდალო ლისანდრ! ხმა გამეცი. ბურქში შეძვერი?
აჰა, ბურქებში იმალები?

პ ა კ ი

შე მართლა მხდალო.
ვისთან ბაქიობ? ვარსკვლავებსაც ეტრახახები?!
ბურქებს ამინებს — საბრძოლველად გამოვსულვარო,
და თვითონ სადღაც იმალება. მოდი, ლაჩარო!
ოი, შე ღლაპო, წეკპლით უნდა გასწავლო ჭკუა,
შემირცხენია, ვინც მახვილი გასვაროს შენზე.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

აქა ბრძანდები?

პ ა კ ი.

გამომევი, აქ რას ვიბრძოლებო!
(ვადიან. შემოდის ლ ი ს ა ნ დ რ ე.)

ლ ი ს ა ნ დ რ ე

თვითონ ზომ ვარბის! მეც მეძახის, გამომევიო;
მეველ და უკვე წასულია ეს არამზადა.
ფეხმარდი მართლაც კი ყოფილა, ვეღარ ეწევი;
მეც რომ აეჩქარდი, უფრო სწრაყად არ გაუტია!
ღამის კისერი მოვიტყუე ამ სიბნელეში...
უნდა დავწე და დავიძინო... გათენდი, ბარემ,
(წება.)

თუკი ველირსე დღის სინათლეს, მერე რა მიჭირს —
ზელად ვაგძვარავ დემეტრიოსს და შურს ვიძიებ.

(იძინებს. შემოდის პ ა კ ი და დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი.)

პ ა კ ი

ჰო! ჰო! ლაჩარო. სად წახვედი. უეხს რატომ ითრევე?

დემეტრიოსი

გაკაცო თუ ხარ, დამიცადე. ვეღარ გეწევი,
რას დატანტალე აქეთ-იქით, რას აწრიალდი?!
შეშინდი, ბალოო?! საქციელი წავიხდა განა?!
ახლა სადა ხარ?

პაკი

აქ გახლავარ, აქეთ მობრძანდი.

დემეტრიოსი

მასხრალაც მივდებ! მე შენ ამას ძვირად დავისვამ.
ღმერთის წყალობით, გათენებას თუკი ველირსე.
ახლა წაბრძანდი. მე კი ისე მომისაუათდა,
რომ ცივ საწოლსაც, სხვა რა გზა მაქვს, არ დავიწუნებ.
გათენებისას, ფრთხილად იყავ, მე დამელოდე.

(წევა და იძინებს. შემოდის ელენე.)

ელენე

ადარ დაადგა ამ საშინელ დამეს საშველი!
გათენდეს ბარემ, შუქი გეტყორცნოს აღმოსავლეთმა,
იმათ მოეშორდეს, ვინც ვერ იტანს ჩემს სიანდლოვებს
და გზას დაუადგე ათენისკენ, დღის სინათლეზე.
ძილი, შენ ხოვჯერ მწუხარებას თვალს უხშობ ხოლმე,
მოდო, ცოტა ხნით, დამავიწყე ჩემივე თავიც.

(წევა და იძინებს.)

პაკი

ერთიც მოვიდეს... სამია მხოლოდ,
ყოველი ცალი დაწვეილდეს ბოლოს!..
ჰა, მოდის კიდეც ტურქების კვანტით,
როგორ არ წყალობს საბრალოს ბედი!

(შემოდის პერმია.)

პერმია

ჩემს ღლეში ასე არ დაველილვარ გული მისკდება...
ასკილ-ბარდებმა სულ დაჩხვლიტეს.. და ვაგილუმპე...
ფეხს ვეღარ ვადგამ, ცოცვის ძალაც კი აღარ შემრჩა,
ფეხები ნაბიჯს ვერ უწყობენ ჩემს გულსწადილს.
აკერ მიეწევი, დავისვენებ გათენებამდე,
ჩემი ღისანდრე დაიფარე ამ ჩხუბში, ღმერთო!

(წევა და იძინებს.)

პაკი

მდელო გრილი,
ძილი ტკბილი,
გულში დარი,
და თვალბეზს ვარდის წვენი
სიყვარულის საწინდარი.

(ყვავილს ჩააწურავს თვალბეზში ღისანდრეს.)

ადრე დილით
დასთმე ძილი
თვალი გახსენ,
დაინახე
შენი ძველი ტრფობა ტკბილი.
ძველი ანდაზა კვლავაც დავნერგოთ —
ვის რა ეკუთვნის, ის უნდა ერგოს,
ჯიკს უნდა შეხედეს თავისი ჯილი,
და გაიხარებს ყოველი წვეილი.
თავისი ჭკაი კვლავ ჰპოვის ყველამ
და ინეტარებს მთელი ქვეყანა.

(გაღის.)

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

ტყე. ღისანდრეს, დემეტრიოსს, ელენესა და
პერმიას სმინავთ!

შემოდან ტიტანია და კოჭა; მუხუღო, აბლაბუღა,
ფარეანა, მდოკვი და სხვა ფერიები.

სცენის სიღრმეში დვას ობერონი, რომელსაც სხეუბი ვერა
ხედავენ.

ტიტანია

მოდო, ჩამოაქვს ყვავილების რბილ სარეცელზე.
მე კი თავზე ხელს ვადავისვამ, მოვეფერები,

შუბლსაც ამ მუშუის ყვავილწნულით შევიმკობ კონტად,
და ლამაზ ყურებს დავიკოცნი, ჩემო ძვირფასო.

კოჭა

მუხუღო საღ წაიდა?

მუხუღო

აქა ვარ.

კოჭა

თავი დამყხანე. მუხუღო... ბატონი აბლაბუღა რაღა
იქნა?

ა ბ ლ ა ბ უ ღ ა

მეც აქ ვარ.

კ ო ჭ ა

ბატონო აბლაბუდა, შენი ჭირიმე, ხელში იარაღი მოიმარჯვე და ის კანჭაწითლებული ბზიკი მომიკალი, ეგერ ნარშავზე რომ წამოსკუბულა. მოკალი და თაფლის გულა, თუ ღმერთი გწამს, აქ მომიტანე. ოღონდ ფრთხილად. შენი ჭირიმე, ფაცხი-ფუცხს ნუ მოჰყვები, გულა არ გავისკდეს. ძალიან დამწყდება გული, ჩემო ბატონო, რომ თაფლით მოითხვარო... ბატონი მღოგვის მარცვალი სადა ბრძანდება?

მ ღ ო გ ე ი

აქ გახლავარ.

კ ო ჭ ა

შენც წამომამშველე ხელი, ბატონო მღოგვის მარცვალა. ოღონდ მაგ შენებურ თავაზიანობას მოეშვი, თუ ღმერთი გწამს.

მ ღ ო გ ე ი

მაინც რას მიბრძანებ?

კ ო ჭ ა

არაფერს, შენი ჭირიმე, ავერ იქნება ბატონ მუხულოს დაფხანა უშველოს-მეთქი. ერთი დალაქთანაც უნდა გეახლო, ჩემო ბატონო, წვერი წამომეზარდა. იმისთანა ნაზი სახედარი გახლავართ, რომ ცოტა თუ შემიღიტინა წვერმა, მორჩა, სულ უნდა დაიეგლიჯო ვველაფერი.

ტ ი ტ ა ნ ი ა

სიმღერას ხომ არ მოისმენდი, ჩემო ძვირფასო?

კ ო ჭ ა

ჩემი ყურები სწორედ რომ სიმღერის მოსასმენადაა მოწყობილი. აბა, ერთი დააჩხრიალეთ მაშები და ძვლები. (მუსიკას უკრავენ.)

ტ ი ტ ა ნ ი ა

ახლა კი საჭმელს რას ინებებ, ჩემო ძვირფასო?

კ ო ჭ ა

ცოტაოდენი დანაყრება მართლაც არ იქნებოდა ურსგო. სიამოვნებით შევახრამუნებდი ახლა კაი გამომშრალ შერისას. კაცმა რომ თქვას, თივასაც არ დავიწუნებდი. რას ამბობ, კაცო, კარგ თივას, ვემრიელ თივას რა შეედრება ქვეყანაზე!

ტ ი ტ ა ნ ი ა

ერთი ყოჩაღი ფერია მყავს, ციყვებს დაუვლის, მიხიკ-მოხიკაეს ნედლ კაკალს და ხელად მოგართმევს.

კ ო ჭ ა

კაკალს ისევე ერთი-ორი მუჭი გამხმარი მუხულო მირჩევნია. მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, ნულარავის შეაწუ-

ხებინებ ჩემს თავს. თვალები მებლიტება, მგონი დამეძინოს.

ტ ი ტ ა ნ ი ა

იძინე, ჩემო საყვარელო. გულში ჩაგიკრავ... თქვენ კი გაფრინდით, ფერიებო, საქმეს მიხედეთ.

(ფერიები გადაან.)

ფათალოსავით მოგეჭვლობი, ჩაგეწმასხნები, და როგორც სურო თელის ტიტებს შემოეხვევა, მეც ისე ტკბილად მოგზვევ ხელებს, ჩემო ძვირფასო. ო, როგორ ვკარგავ შენზე ჭკუას. როგორ მიყვარხარ!

(იძინებენ. შემოდის პ ა კ ი.)

ო ბ ე რ ო ნ ი (წინ გამოვა)

მოხვედი, რობინ? აქ უყურე, რა ამბავი აქეთ! ლამის გაგიყდეს!.. შემეტოლა ეგ უბედური. ტყის განაპირას შეგვხვდი წელან. უნდა გენახა, როგორ არჩედა ამ ბრიყვისთვის ლამაზ ყვავილებს. გამოგიღანძღე კარგა მაგრად... აულია და ეს გაბურძენილი თავ-კისერი ამ ყვეჩინთვის სურნელოვანი ყვავილებით არ შეუშკია!.. და ნამი ცისა, აღმოსავლურ მარგალიტივით გაუშლელ ყვავილს ციმციმით რომ დაეკიდება, ახლა ცრემლივით გამოკრთოდა იმ ყვავილებში — თავის შერცხვენას დასტიროდა, შეწუხებული. როცა დაციწვა-გამასხრებით ვიჯერე გული, მაპატიეო, შემეხვეწა. მეც ვიხვლოთე და ის ინდოელი ბიჭი ვთხოვე. მყის დამეთანხმა, ხელად აფრინა იმ ბიჭისთვის ერთი ფერია, რათა პირდაპირ ჩემს თალარში წამოიყვანოს. რაკილა გული საგულეს მაქვს — ბიჭი ჩემია, ბარემ საზიზღარ ჯადოს მოვხსნი ჩემს ტიტანისს, შენც ე მაგ ზებრეს, მოაცილე სახედრის თავი, რომ სხვებთან ერთად, გაიღვიძოს მაგანაც დროზე და ათენისკენ გაემართონ ყველანი ერთად, ხოლო ამაღამ რაც იზილეს და თავს გადახდათ, მღელვარე სიზმრად დაახსომდეთ სამიღლეშიოდ. ვერ დამაცადე, ჯადო მოვხსნა ტურფა დედოფალს.

(ყვავილს მოუსვამს თვალზე.)

რალაც მენახე, იმადვე გნახო, რაც დავინახავს, ის დინახო. ყვავილს წაგისვამ და ესინჯავ კვალად ამურის ისრის ჯადოს და ძალას. გახსენი თვალა, ტიტანია, გამოიღვიძე.

ტ ი ტ ა ნ ი ა

ჩემო ობერონ, რა უხამსი სიზმარი ვნახე — თითქოს დიდყურა სახედარი შემეკარებოდეს.

ო ბ ე რ ო ნ ი

შენი მიჯნურიც მანდვე გიწევს.

ტიტანია

ეს როგორ მოხდა?

მაგის დანახვაც კი გულს მირევს და ტანში მზარავს.

ობერონი

ჩუმაღ!.. მოხსენი ბარემ თავი მაგ ზეპრეს, რობინ...
შენ კი მუსიკა გამოიხმე, ჩემო ძვირფასო,
ბედრის ძილით უნდა დავაძინო ზუთივე ერთად.

ტიტანია

აბა, მუსიკა!.. ჰე, მუსიკა, ძილისმომგვრელი!
(წყნარი მუსიკა.)

პაკი

რა შტერიც იყავ, ის იქნები, რომ გაიღვიძებ.

ობერონი

ჩაგჭიდოთ ხელი ერთმანეთს და კვლავ ძველებური
სამტკბილობით დავუაროთ, ჩემო ძვირფასო.
დასცხუთ მუსიკა!.. ფეხქვეშ მიწა ავაზანზაროთ
და აკვანივით დავურწიოთ ამ მიძინებულთ.
ხვალ კი ვეწვიოთ შუალაშით თეზეკსაც სახლში,
იქაც ვიცეკვოთ ზარზემით და მიეულოცოთ
სამზადფაშო სიკეთე და ბედნიერება.
ამ წყვილ მიჯნურთაც იქვე უნდა დაკწერთ ჯვარი.
მაგათ ბედნიერ ქორწილშიაც ვიმზიარულოთ.

პაკი

გესმის მეფევე, ყურთა სმენას
ტოროლების ატკობს სტვენა.

ობერონი

დედოფალო, ეამი დადგა,
ჩენც გაკვეთით მარდად ზეცა,
დედამიწას გადაუქროლოთ
მოვარის სხივზე უსწრაფესად.

ტიტანია

მაშ წავიდეთ, გავიქროლოთ
და ფრენის დროს მითხარ, გზაში –
ხალხის ჯგროში ვინ გამრია,
ამინსენი ეს თამაში.

(ვადიან. ისმის საყვირების ხმა.
შემოდან თეზეკსი, იპოლიტა, ეგეოსი და
მხლებლები.)

თეზეკსი

ერთი თქვენგანი წავიდეს და მეტყვევ ნახოს;
დღესასწაულის ყველა წესი ჩვენ შევასრულეთ,
და რაკი დილაც მოახლოვდა, მინდა ჩემს სატრფოს
ჩემი მწევრების სიმღერებიც მოვასმენინო.

აბა, მწევრები ქვემო ველზე მიუშეთო ჩქარა.
და ის მეტყვევც მომიძებნეთ, როგორც გითხარით...
(ერთი მხლებელი ვადის.)

ჩვენ იმ მთის წვერზე მოვექცევით, ჩემო ძვირფასო,
და ყურს მივუპურობთ ძაღლის ყეფას, ექოს მოძახილს.

იპოლიტა

ერთხელ კადმოსსა და ჰერკულესს გავეცი ტყეში,
დათვის გამოუნთეს სპარტელების მწევრები მაშინ?
იმგვარ ღრიანცელს ჩემს დღეშიაც არ მოვსწრებივარ:
ჭაღები, მთება, წყალი, ზეცა, მთელი სამყარო
ამ ღრიანცელმა გააყრუა, ისეთი ტკბილი
არც მეხთატეხა, არც ნერევის ხმა არ მომესმინა.

თეზეკსი

ჩემი მწევრებიც სპარტულია – ფერიტაც რუხი
და ქვემო ღაშიც იმგვარადვე ჩამოშვებული;
ფართხუნა ყურით დილის ცვარნამს აცლიან ბუნქებს;
თესალიური ზარებივით – ღაბაბი მკერდთან;
მარდს ვერ შევარქმევ, მაგრამ ხმა აქეთ ისეთი ტკბილი,
ზარის წკრიალი გეგონება. ამნაირ ტკბილ ხმას
ვერანაირი საყვირი და რქა ვერ გამოსცემს –
ვერცა კრეტაზე, ვერც სპარტაში, ვერც თესალიას.
შენ თვითონ ნახავ. ჩუ! ნიმფები აქ რას შეყრილან?

ეგეოსი

ეს ჩემი ქალი პერშიაა, ბატონო ჩემო...
ეს კი ლისანდრე... ეგერ, იქით, დემეტრიოსი...
აგერ ელენეც, ბერიკაცი ნედარის ქალი.
აქ რამ შეჰყარა ყველა ერთად, ნეტა ვიცოდე!

თეზეკსი

ამ სამაისო დღესასწაულს შეხედენ აქ ალბათ...
ჩვენს განზრახვასაც შეიტყობდენ და გადაწყვიტეს,
პატივი დაგვდონ, ჩენი ღვინი გაიზიარონ...
მაგრამ, ეგეოს, აღარ გახსოვს: შენმა პერშიამ
სწორედ დღეს უნდა მოგვახსენოს მტკიცე პასუხი.

ეგეოსი

ღიას, ბატონო.

თეზეკსი

საყვირს ჩაჰბერეთ, დააღვიძეთ ესენი ჩქარა.
(საყვირის ხმა, შეძახილები. დაძინებულები იღვიძებენ.)

დილა მშვიდობის, ყმაწვილებო!.. გამოიღვიძეთ?
ვალენტინობა რა ხანია გადავიხადეთ,
ამ ჩიტუნებს კი დაწყვილება ახლა მოუნდათ?

ლისანდრე

ვახსოვთ, მომიტეეთ.

თ ე ზ ე ე ს ი

წამოღეკით, ნუ გეზარებათ. თქვენ ერთმანეთში სამიჯნურო ქიშპობა გქონდათ. ახლა კი ავერ შეთანხმებულს და დამტკბარს გხედავთ. მიკვირს, სიძულვილს სიძულვილი როგორ შეეტებო, როგორ დათრგუნეთ ერთმანეთის შური და მტრობა!

ღ ი ს ა ნ დ რ ე

ჩემო ბატონო, აღარ ვიცი, რა გიპასუხო, ვერასდიდებით ვერ მივმხვდარვარ, მღვიძავს თუ მძინავს. თავს ვეფიცები, არც ის ვიცი, აქ როგორ ვაგწიდი. თუმცა, დამაცა... მთელ სიძარბოებს ახლავე გიშვებო, მგონი, თანდათან გამახსენდეს სუყველაფერი... აქ ჰერმეისთან ერთად მოველ... ჩვენ გადაუწყვეტეთ ამ ქალაქიდან გადახვეწა, სადმე გაპარვა, სადაც ათენურ მკაცრ კანონებს თავს დაეადწეველით...

ე გ ე ო ს ი

კმარა, გეყოფა, ვაჟბატონო; საკმარისია. კანონს მოვითხოვ მე ხასწრაფოდ, კანონი მაგას!.. გაპარვა ნებავეთ, დემეტრიოს, შორს ვაღახვეწა, ჩემი და შენი გაწბილება, თავლაფის დასხმა, რათა წაგართვან შენ ცოლი და მე კი უფლება, რომ ჩემი ურჩი ქალიშვილი შენ მოგცე ცოლად.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

მე კი მაგათი გამოპარვა ელენემ მითხრა და გამაცოფა. გამოვენთე მაშინვე უკან, ხოლო ელენე, სიყვარულით გაგიჟებული, მე ამედეუნა. აქ რომ მოველ, ჩემო მეუფე, თვითონ არ ვიცი რანაირად და რა ჯადოთი (თუმცა ჯადო რომ დატრიალდა, ეს ნამდვილია), ხელად გამიღნა ძველ თოვლივით ჰერმეის ტრფობა. და ახლა ისე მეჩვენება, ვით უკარგისი, ბავშვობის დროის სათაყვანო, ბრჭყვივალა ნივთი, რაც დავიწყებას მისცემია, თანდათანობით. ამიერიდან ჩემი სული, ჩემი სიცოცხლე, ჩემი თვალების ნეტარება, გულია წადილი ელენე გახდა ყველაფერი... ჩემო ბატონო, მანამ ჰერმეის შევხვდებოდი და გავიცნობდი, ელენე ვიყავ დანიშნული, ეს ყველამ იცის... აუადმყოფი რომ შეიძულეს საყვარელ საჭმელს, და გემოს ისევ განკურნების შემდეგ გაუგებს, მეც სწორედ ისე განმიახლდა, კვლავ მოძენატრა, ელენეს ტრფობა-სიყვარული მომესურვია. და მანამ პირში სული მიდგას, არც ვუორგულებ.

თ ე ზ ე ე ს ი

ო, მეგობრებო, გამახარა თქვენმა შეხვედრამ, ეს ჩვენი ტკბილი საუბარი მერე განვაგრძობთ. შენ კი ბედს უნდა დამორჩილდე, ჩემო ეგეოს: ეს ყმაწვილებიც, ჩემთან ერთად, დღესვე ტაძარში ჯვარს დაიწერენ, საუკუნოდ შეერთდებიან.

ახლა მოვეშვით ნადირობას, დაშუაღდეკდა, ათენს დაებრუნდეთ, და წყვილ-წყვილად დიდა ზეიმით სამი ქორწილი გადავიხადოთ შეერთებულად. წამო, წავიდეთ, იპოლიტა.

(გაღიან თ ე ზ ე ე ს ი, ი პ ო ლ ი ტ ა, ე გ ე ო ს ი და მხლებლები.)

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

თითქოს შემცირდა ყველაფერი და დაიბინდა, ვით შორი მთები გახვეწა ღრუბლის საფარში.

ჰ ე რ მ ი ა

მეც, თითქოს, ნივთებს სულ სხვადასხვა თვალთვალს ვხედავდი. გაორებული მენვენება სუყველაფერი.

ე ლ ე ნ ე

მეც ასე მომდის. საგანძური მეპოვოს თითქოს: ხან ჩემადა ვთვლი დემეტრიოსს, ხან არ ვთვლი ჩემად.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

დანამდვილებით გაგვეღვიძა? თქვენ როგორ ფიქრობთ? მე თითქოს მძინავს და სიზმარში მგონია თავი. თქვენც მოგეჩვენათ აქ მთავარი? მართლა გვიბრძანა, გამოგვეყვითო?

ჰ ე რ მ ი ა

ნამდვილია... მამაც აქ იყო.

ე ლ ე ნ ე

და იპოლიტაც.

ღ ი ს ა ნ დ რ ე

თეზევსი კი ტაძარში გველის.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

გაკვილვებიდა და ეგ არის. რაღას ვაყოვნებთ, გავსწით ბარემ და სიზმრებსაც გზადაგზა მოვყვით.

(გაღიან.)

კ ო ჭ ა (იღვიძებს)

გამოსვლის დრო რომ მოვიდეს, დამიძახეთ — სათქმელი მზადა მაქვს. „უმშვენიერესო პირამოს“, უნდა უთქვა მე... ჰეი! არ გეყურებათ! კომშა!.. სტერია!.. დრუნ-ია, კაცო!.. კნაჭა!.. ღმერთო შენ დამიფარე! გაპარულან და დამინებული დაუტოვებიათ! იშვიათი სიზმარი კი ენაზე — ვითომ... თუმცა კაცის ჭკუა რას ჩასწვდება ამ სიზმარს! ვირი უნდა იყო, ამ სიზმრის ამოხსნა რომ სცადო. ვითომ, იმად არ ვიქეცი!.. მაგას ვინ იტყვის, მე რად ვიქეცი... გაიხედე და უცებ ვიქეცი... ვნახოთ და, უცებ ის არ გამიჩნდა... აჰ, ნამდვილი შტერი უნდა იყოს კაცო, ახლა იმას რომ მოჰყვეს, მე რა გამიჩნდა. ჯერაც არ მომხდარა, რომ კაცის ყურებს დაენახოს, თვალს გაეგონოს, ხელებს ეგემოს, ენას ფიქრად მოსე-

ლოდეს და გულს ეთქვას, მე რაც სიზმრად ვნახე. კომშა უნდა შევასახელო, რომ ერთი კაი ბალადა გამოაცხოს ჩემს სიზმარზე და კოჭას სიზმარი დაარქვას, იმიტომ რომ არც ფსკერი აქვს და არც სახლვარი ამ ჩემს სიზმარს, მეც ავღგები და წარმოდგენის ბოლოს მთავარს ეუმღერებ. არა, უფრო კობტა რომ გამოვიდეს, თისბეს ხიკვილის დროს ვიმღერებ.

(გაღიხ.)

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ა

ათენი. კომშას სახლი.

შემოდან კომშა, სტეირა, ღრუნჩა და კნაჭა.

კომშა

კოჭასთან არაიენ გაგზავნეთ? ნეტა შინ არ დაბრუნებულა?

კნაჭა

ასავალ-დასავალიც არა ჩანს. ეტყობა, ავმა სულელებმა გაიტაცეს.

სტეირა

მაშ, ჩაგვეარდნია პიესა და ეგ არის. უმაგისოდ რას გავზღვებით?!

კომშა

ვერაფერსაც ვერ გავზღვებით. მთელი ათენი რომ გაღანხრიო, მაგისთანა პირამოსს მეორეს ვერ შევვდებით.

სტეირა

რას ამბობ, კაცო, მაგის ჭკუა და მოსაზრება ათენელ ხელოსნებს ვინ მისცა!

კომშა

ახლა მაგისი სილამაზე! ახლა მაგისი სარკინოზის ხმა!

სტეირა

სირინოზის ხმა, სირინოზის ხმა, სარკინოზის ხმა ვინ გაიგონა! ღმერთო, შენ დაგვიფარე!

(შემოდის კობტაპრუწა.)

კობტაპრუწა

ბიჭებო, ბიჭებო, მთავარი უკვე ტაძრიდან გამოვიდა. მთავართან ერთად კიდევ ორმა თუ სამმა დაიწერა ჯვარი. ეს პიესა რომ გამოვესვლოდა, ჩვენი ხალხში არ გავერეოდით!

სტეირა

ახლა ჩვენი მამაცი კოჭა!.. ექვს-ექვსი პენსი ნაღდი დაკარგა, ყოველდღიური. ექვს პენსზე ნაკლებს არასდღეობით არ აკადრებდნენ. მთავარს თუ მაგისტოვის ექვსი პენსი არ მიეცა, ახლავე ყულუში გამაყოფინე თავი, რას ამბობ, პირამოსის რეალია. ალალიც აქნებოდა! ექვსი პენსი ყოველდღიური — ან არაფერი!

(შემოდის კოჭა.)

კოჭა

სად წახვედით, ბიჭებო? ჩემო სულა და გულა!

კომშა

კოჭა!.. ეს რა დღე გავვითენდა! რა ბედნიერი საათი!

კოჭა

ჰოი, რა საოცარი რამე უნდა გვიამბოთ, ბიჭებო, ოლონდ, რა არის, მაგას ნუ მკითხავთ. ეგ რომ გითხრათ, მაშინ ნამდვილი ათენელი არ ვყოფილვარ და ეს არის. მე თვითონ ჩაგვიკაკლავთ ყველაფერს, რაც გაღამხდა.

კომშა

აბა, შენ იცი, ჩვენო კარგო კოჭა.

კოჭა

ოლონდ ჩემს თავზე კრინტს ვერ დამამკრევეინებთ. მე მარტო იმას ვეტყვით, რომ თეზესმა უკვე ისაღილა. ჩქარა შეჰკარით თქვენი ბარგი-ბარხანა. წვერებს მაგარი თასმები გამოაბით, წაღებს კიდევ — ახალი ზონარი. ახლავე სასახლეში უნდა გავჩნდეთ. ყველამ გაიმეორეთ თქვენ-თქვენი როლი, იმიტომ რომ პიესა უკვე არჩეულია. ყოველ შემთხვევისათვის თისბემ სუფთა საცვალე ჩაიცვას. ღომის როლს ვინც ასრულებს — იმან ფრჩხილები არ დაიჭრას, ნამდვილი ღომის კლანჭები უნდა მოუჩანდეს. ზაზვისა და ნივრის ჭამა არც იფიქროთ, ჩემო ძვირფასო მსახიობებო, პირიდან საამური სუნი უნდა ამოგდიოდეთ. რა საამური კომედია ყოფილაო, ყველას ეს უნდა ეკეროს პირზე, ბევრი წილაღობილა აღარ არის საჭირო, წავსულვართ. აბა, ჰე!

(გაღიხ.)

მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა მ ე ს უ თ ე

ს უ რ ა თ ი კ ი რ კ ე ლ ი

ათენი. თეზეუსის სასახლე.

შემოდან თ ე ზ ე კ ს ი, ი პ ო ლ ი ტ ა, ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ე,
კარისკაცები და მსლებლები.

ი პ ო ლ ი ტ ა

უცნაურ ამბებს კი ჰყვებიან ეს ყმაწვილები.

თ ე ზ ე კ ს ი

სიმართლეს არ ჰგავს. მე ჩემს დღეში ვერ ვერწმუნები
ძველ არაკებსა და ბალებს ჯადოსნურ ზღაპრებს,
მიჯნურებსაც ხომ ტვინი უდულთ გიჟების მსგავსად,
მათი მგზნებარე წარმოსახვა იმას შენიშნავს,
რასაც ვერასდროს ვერ მისწვდება ცოვი გონება.
გიჟებს, მიჯნურებს და პოეტებს, ეს ცნობილია,
ტვინი სავსე აქვთ წარმოსახვა-მოჩვენებებით.
იმდენი ეშმა ეჩვენება ზოგს ქვეყანაზე,
რასაც უძირო ჯოჯოხეთიც კი ვერ დაიტევს.
ეს გიჟებს მოსდით. თავქარიან შეყვარებულებს
შავტუზა ბოშა მიაჩნიათ ტურფა ელენედ!
შთაგონებული მგოსნის თვალი დედამიწიდან
ცის სფეროს სწვდება, მიწის წიაღს კვეთავს ზეციდან,
და უსხეულო, არარსებულ, უფორმო საგნებს,
რაც მხოლოდღა წარმოსახვით თუ აღიქმება,
მგოსნის კალამი ხორცს შეასხამს, სახელს შეარქმევს
და ქვეყანაზე თავის ადგილს მიუჩენს ხელად.
ასეა, ძლიერ წარმოსახვას ეგ ხშირად მოსდის;
როცა სიხარულს ელოდება გულისფანცქალით,
წინამორბედი ელანდება ამ სიხარულის;
ღამით, შიშნაჭამს, ბუჩქი დათვად მოეჩვენება.

ი პ ო ლ ი ტ ა

მართალსაც რომ ჰგავს, შენ ესა სთქვი! რა უცნაურად
და რა უეცრად შეიცვალა ამდენი რამე!
თან დიდებული ამბავია, თან უცნაური!

თ ე ზ ე კ ს ი

ჰა მიჯნურებიც! გაბადრულან, გალადებულან!

(შემოდან ლ ი ს ა ნ დ რ ე, დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი, პ ე რ მ ი ა დ
ე ლ ე ნ ე.)

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, დე სიხარული
და სიყვარული არ მოგშლოდეთ!

ლ ი ს ა ნ დ რ ე

შენ, მით უმეტეს,
ტახტზე, სეფაზე, სარეცელში მუდამ თან გახლდეს!

თ ე ზ ე კ ს ი

რით შევიქცეოთ ახლა თავი? რა გვაკეთოთ?
ვახშმობისა და ძილის შუა გრძლად გაწვლილი,
ეს მთელი გრძელი საუკუნე — სამი საათი —
რით შევიმოკლოთ, ცეკვებით თუ სხვა გასართობით?
სადა გვეყვს ღზინის გამგებელი, რითი შევიქცევს,
რით გავვილაღებს ამ ლოდინის მძიმე საათებს?
ფილოსტრატს უხმეთ.

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ე

აქ გახლავარ, ჩემო ბატონო.

თ ე ზ ე კ ს ი

აბა, ამაღამ რას გვარჩენებ თავის შესაქცევს?
წარმოდგენა გაქვს, თუ მუსიკას მოგვასმენინებ?
თუ არ გავგართე, ზოზინა დრომ ხომ მოგვსპო კიდევ!

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ე

აგერ, ბატონო, მთელი სია გასართობების,
ამოირჩიეთ, რას ინებებთ ყველაზე უწინ!
(ქალღღს ვადასცემს.)

თ ე ზ ე კ ს ი (კითხულობს)

„შეტაკებანი კენტაერებთან. ჩანგზე იმღერებს
ათენის მკვიდრი საჭურისი“². არ გამოდგება.
აქ ჩემს წინაპარ ჰერკულესსაც ასხამენ ზოტბას,
და ჩემს საყვარელ იპოლიტას უკვე ვუამბე.
(კითხულობს.)

„როგორ გაცოფდნენ ღვინით მთვრალი ბაკები ერთსელ
და თრაკიელი მომღერალი როგორ დაგლაიჯეს“³.
ეს ძველისძველი წარმოდგენა მე უკვე ვნახე,
როცა თებედან შინ დავბრუნდი, გამარჯვებული.
(კითხულობს.)

„მათხოვრობისგან სულგაცხებულ მეცნიერებას
როგორა გლოვობს სამჯერ-სამი მწუხარე მუზა“⁴.
ეს მეტისმეტად ვესლიანი სატირა გახლავთ,
და, მე მგონია, ქორწინებას არ მოუხდება.
(კითხულობს.)

„პირამოსისა და იმისი ტრფიალი თისბეს
ხედილსიმგვერელი კომედია, სხარტულად გრძელი“.
ჰა, ხედიანი კომედია! სხარტიც და გრძელიც!
ცხელი ყინული გეტქვით ბარემ! და შავი თიოელი!
როგორღა უნდა შევათანნმოთ ეს უთანნმობა?!

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ე

არ შევხვედრივარ ვერ პიესას, ასე მოკუცულს —
სულ ათი სიტყვაც არ იქნება, მაგრამ რად გინდა —

ეგ ათი სიტყვაც ზედმეტია, ჩემო ბატონო, და იმატომაც ვრძელი მოჩანს. მთელ პიესაში, ვერც სიტყვას ნახავ შესაფერისს და ვერც მსახიობს. თან მართლაც სიკვდილს მომგვრელია, ბატონო ჩემო, რადგან თავს იკლავს პირამოსი... უნდა გამოვეტყუდე, რეპეტიცია რომ ვიხილე, ცრემლები წამსკდა; ჯერ არ მომხდარა ქვეყანაზე, რომ სიცილის დროს ამაზე შეტი მხიარული ცრემლი ეღვაროთ.

თ ე ზ ე ვ ს ი

მსახიობები ვინ არიან?

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ე

აქაურება.

ხელდაკოჭრილი ხელოსნები, რომელთაც დღემდე ტყინის განძრევა ერთხელაც არ დასჭირვებიათ. ახლა კი თქვენი ჯვარისწერის აღხანიშნავად, ხომ ზედავ, თავი მოიქაჩლეს – პიესა გიძღვეს.

თ ე ზ ე ვ ს ი

მამ, ჩვენც ეგ ვნახოთ.

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ე

აჰ, რას ბრძანებ, ბატონო ჩემო.

მე აკი ვნახე, ეგ რა თქვენი საკადრისია – ჯერ არ ნახული სიგიჟე და აბდაუბდაა. მართო იმათი ფხაკური და თავგადაკლული მოწადინება თუ გაგართობს.

თ ე ზ ე ვ ს ი

უთუოდ ვნახავ.

ახეთი წრფელი და კეთილი გულით მოძღვნილი არ შეიძლება ცუდი იყოს. ახლა გასწი და აქ მომიყვანე. გთხოვთ, დაბრძანდეთ, ქალბატონებო.

(ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ე ვადის.)

ი პ ო ლ ი ტ ა

ვერ ვიტან ხოლმე უბადრუკთა თავგამოდებას.

თ ე ზ ე ვ ს ი

მაგას არც ნახავ, სიყვარულო.

ი პ ო ლ ი ტ ა

აკი, ასე თქვა –

სიგიჟეა და აბდაუბდა ცარიელი!

თ ე ზ ე ვ ს ი

მით უფრო დიდი გამოჩნდება ჩვენი სიკეთე, როცა მადლობას გადავუხდით აბდაუბდისთვის, იმათ შეცდომებს შეწყნარებით მოვეკიდებით. კაცს თუ არ ძალუძს დაგიმტკიცოს თავის ერთგულება,

შენ იგი უნდა დააფასო მონდომებისთვის. ასეც მომხდარა – გამოჩენილ მწიგნობრებს ზოგჯერ გადუწყვეტიათ კარგი სიტყვით მომსალმებოდნენ, წინასწარ ჰქონდათ გულმოდგინედ მომზადებული, მაგრამ კანკალი აიტანდათ, რომ შემხედვებოდნენ, სიტყვა შუაზე უწყდებოდათ, სუნთქვა ეკეროდათ, დადუმდებოდნენ მუნჯებით და ამ მზა სიტყვას ვეღარ მეტყვოდნენ. მაგრამ მენდე, ჩემო ძვირფასო, მათი დუმილი ჩემთვის მეტის მეტყველი იყო, და ამ მდუმარე მოკრძალებით მეტს მანიშნებდნენ, ვიდრე ეს ძალუძთ ენადამტკბარ მოლაქლაქეებს. უთქმელობა და სიყვარულის უბრალოება, მე ასე ვფიქრობ, მუდამ მრავლის მეტყველი არის.

(შემოდის ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ე.)

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ე

პრილოგი უკვი აქ გეახლათ, ჩემო მეუფე.

(ისმის საყვირის ხმა.)

თ ე ზ ე ვ ს ი

შემოიყვანეთ.

(შემოდის პროლოგი.)

პ რ ო ლ ო გ ი

ჩვენი კეთილი სურვილები მიიღოთ უნდა და არც იფიქროთ მოვსულიყოთ; თუკი თქვენც ვნებავთ, არა. კეთილი სურვილებით – ეს გვინდა მუდამ, ამით დავიწყით დასასრულის მოახლოება. მაშ ასე, რაკი შემოვდივართ, იმასაც ვიტყვით, თქვენს მოწოდებას არ დავეძებთ, მეტი რა გიყოთ. ჩვენი მიზანი ეს იქნება გულდასაწყვეტი. რაკი მოვედით, თითქოს სულაც არ მოვსულიყოთ. გვინდა, განანოთ. ასეთია ჩვენი განზრახვა. და რისი ნახვაც გულით გსურდათ, გაჩვენოთ ახლა.

თ ე ზ ე ვ ს ი

მაინცდამაინც დალაგებული ლაპარაკი ვერ სცილნია ამ ყმაწვილს.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ისე შემოაჯირითა თავისი პროლოგი, გეგონება გაუხედნავ კვიცზე ზისო. ვერა გრძნობს, სად უნდა დაუჭიროს სადავე. ლაპარაკს რა ფასი აქვს, დალაგებულად თუ არ ილაპარაკე.

ი პ ო ლ ი ტ ა

ისე ააჭყვიტინა ეს თავისი პროლოგი, თითქოს ბაღლი გულდასტვირს აწვალუბსო. ჭკვიტინით კი აჭყვიტინებს, მაგრამ ერთი ბევრა შეორეს სულაც არ ეგუება.

თ ე ზ ე ვ ს ი

ვაბურდული ძეწკვი რომ განახავს — თითქოს არსად არ არის ვაწყკეტილი, მაგრამ თავსა და ბოლოს მაინც ვერ გაუვებს. აბა, ახლა ვინ უნდა გამოვიდეს?

(შემოდან პ ი რ ა მ ო ს ი და თ ი ს ბ ე, კ ე დ ე ლ ი, მ თ ვ ა რ ა ს ს ხ ი ვ ი და ლ ო მ ი.)

პ რ ო ლ ო ვ ი

იქნებ ვერ მიხვდით ამ პიესის თავსა და ბილის, ეგ არაფერი — მოგახსენებთ ყველაფერს ახლა: ეგ კაცი გახლავთ პირამოსი, იცნობდეთ. ხოლო ეს მშვენიერია ქალბატონი კი თისბე გახლავთ. აგერ ეს კაცი, წათხიანლი კირით და თიხით, ვალავანია — მიჯნურების ზღუდე მაღალი, ხოლო ამ ხერეღით, საიდუმლო, ალბათ თქვენც

მიხვდით,

უნდა ერთმანეთს უწურწულონ ახალ-ახალი. ეს კაცი, კიდეც, ბუჩქითა და ფარანით ხელში, — თან საცოდავად მობუზული ძალი რომ ახლავს, — მთვარის სხივია — მაგის შუქზე უკუწეო ბნელში ორი მიჯნური ნინუს ძეგლთან ერთმანეთს ნახავს. ესეც ნადირთა მბრძანებელი — მძინვარე ლომი, თისბეს დალანდავს, სატრფოსაკენ სისწრაფით მავალს. შიშს მოჰკვრის ბედკრულს (თუ შეაკრთობს), საკბილოს

მლომი,

და ქალიც ხელად გაეცლება, სირბილით წავა. თვითონ კი წავა, მოსასხამი დარჩება ტყეში, რასაც სულ ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯს ლომი კბილებით, ამ დროს ჭაბუკი პირამოსი შემოვა ხვნეშით, და იმ მოსასხამს დაინახავს ის ვაკვირვებით. რაღა უნდა ქნას, ხელად იძრობს სისხლისმსმელ

მახვილს.

და გულს გაიპობს — ვეღარ შეძლებს ამის ატანას... საბრალო თისბეც გადირევა ამის დანახვით, გამოვარდება ბუჩქებიდან, იშიშვლებს დანას და ისიც იქვე ვაგორდება... დანარჩენ ამბავს აგერ ეს ლომი, ვალავანია, სხივი მთვარისა და მიჯნურები მოგახსენებთ ყველას, წამისად.

(გადიან პ რ ო ლ ო ვ ი, პ ი რ ა მ ო ს ი, თ ი ს ბ ე, ლ ო მ ი და მ თ ვ ა რ ი ს ს ხ ი ვ ი.)

თ ე ზ ე ვ ს ი

ნეტა ლომიც თუ ალაპარაკდება!

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ეგ რა ვასაკვირია, ბატონო: ამდენი ვირი თუკი ლაპარაკობს, ლომს რაღა დაუშლის.

კ ე დ ე ლ ი

ამ პიესაში კედელი ვარ, აგერ აშხუღა. ისე კი დრუნწას მქმანთან ზედმეტ სახელად. ახლავე თუ არ გაგიმხილეთ, არ მაძღვეს გული —

ჭუჭრუტანა მაქვს მე კედელში დატანებული. აქა ჩურჩულებს, გამწარებით, ღამით თუ ღლისით ორი მიჯნური — პირამოსი და სატრფო მისი.

ჩემი კედლობა თუ არ ვჯერათ, თქვენ თვითონ ნახეთ — ალიზითა და თიხით მოსვრილს არ მიჩანს სახე. პა, ჭუჭრუტანაც — მარცხნითაც ჩანს, მარჯვნივაც, აგერ, აქ სანურწულოდ მიაწებებს მიჯნური ბავებს.

თ ე ზ ე ვ ს ი

რას ერჩით ამ თიხაში აზკლილ ჯაგარს, ამაზე დაწყობილად როგორ უნდა ილაპარაკოთ?!

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ამისთანა ენამახვილ ჯვბირს ჯერაც არ გადაყვრივარ, ჩემო ბატონო.

თ ე ზ ე ვ ს ი

ჩუმაღ, პირამოსი კედელს უახლოვდება!

(შემოდის პ ი რ ა მ ო ს ი.)

პ ი რ ა მ ო ს ი

ო, ღამეც, ღამეც, დაბღვერილო, ო, ღამეც შავო! ო, ღამეც, ღამეც! დღე წავა და გაჩნდები მყისვე! ო, ღამეც, ღამეც! ვაგლახ, ვაგლახ! შენ ჩემო თავო! უაითუ თისბეს დაავიწყდა აქ მოსვლა ისევ! შენ კი, კედელო! ო, კედელო, კედელო ტყბილო, ჩვენი მამების მამულების საზღვარზე მდგარო! ეგ შენი ხერეღი მომიშვირე, სატრფო ვიხილო.

(კ ე დ ე ლ ი თითებს გააკეთებს.)

მაღლობელი ვარს.. ნუმც მოგაკლდეს წყალობის წყარო. მაგრამ რას ვხედავ? ოი, თისბეს მე ვერსად ვხედავ! ოი, კედელო, დაწვევილილო, ეს რა მიყავი! წყეულიმც იყოს შენი ქვები, რად მიღალატე.

თ ე ზ ე ვ ს ი

კედელიც ზომ გინიერი ყმაწვილი ბრძანდება, ალბათ ეგეც კარგა მაგრად გამოილანძღავს.

კ ო ჭ ა.

ამ, რა ბრძანებაა, ბატონო, ეგ არ მოხდება. „რად მიღალატეო“, მაგას კი არ ვუბნებთ, თისბეს ვეუბნებთ; საცაა უნდა შემოვიდეს და კედლის ზვრელში ვუთვალეთვალე. ნახე, თუ ასე არ მოხდეს... აბა, მოდის კიდეც.

(შემოდის თ ი ს ბ ე.)

თ ი ს ბ ე

ბევრჯერ ვსმენია, ო, კედელო, შენ ჩემი კენესა, რადგან პირამოსის ექვარები, აქითკენ მზირალს!.. რამდენჯერ კოცნით შევხვებოვარ შენს უგრძნობ ქვებსა და პირი თიხით გამესკებია სატრფოზე მტირალს!

ი რ ა მ ო ს ი

, მის ხმას ვხედავ. მომიშვირე ვე ხერყლი ჩქარა.
ახილო კიდეც, რაკი მესმის მე თისბეს სახე.

თ ი ს ბ ე

ო, პირამ, პირამ, საყვარელი, შენი ვარ მარად.

პ ი რ ა მ ო ს ი

კიცი ჩემი ხარ! მეც მარადეაშს შენად დამსახე.
ღმინდრის მსგავსად შენი ტრფობით გული მაქვს
საკუსე.

თ ი ს ბ ე

მეც, ელენივით, შენთანა ვარ გულით, ფიქრებით...

პ ი რ ა მ ო ს ი

აღბათ შაფალსაც არ უყვარდა პროკრუსი ასე.

თ ი ს ბ ე

მეც, შაფალივით, შენი ვარ და შენი ვიქნები.

პ ი რ ა მ ო ს ი

მაგ ხვრელს ტუჩები მოაწები, მაკოცე თისბე.

თ ი ს ბ ე

ხვრელსადა ვკოცნი, ვეღარ გაყვნი ტუჩების დირსი.

პ ი რ ა მ ო ს ი

ნინუს საფლავთან მოდი, თისბე, ნუ დამადონებ.

თ ი ს ბ ე

კიდეც რომ მომკლან, მაინც მოვალ, არ დაეყოვნებ.
(გადიან პ ი რ ა მ ო ს ი და თ ი ს ბ ე.)

ქ ე დ ე ლ ო

ჩემს საქმეს მოვრჩი — მოვიშორე როლი თაეიდან,
და რაკი მოვრჩი, რა ვაკეთო, ბარემ წავიდე.
(გადის.)

ო ე ზ ე ვ ს ი

ხედავთ, დაინგრა მეზობლების გამყოფი ვეზირი!

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

აბა რა მოუვიდოდა, ჩემო ბატონო, ასე გაფაცაცებით
ომ უვლებდა ყურს სხვის საიდუმლოს, და ისიც გა-
ეფრთხილებლად.

პ ო ლ ი ტ ა

ამისთანა სისულელე ჩემს დღეში არაფერი მინახავს.

თ ე ზ ე ვ ს ი

ამ ჯურის ხალხი, ძალიანაც კარგი რომ შევზედეს,
მაინც ჩრდილია და მეტი არაფერი. მაგრამ ყველაზე
ცუდსაც რომ ვაღაყვარო, იმდენად ცუდი კი არ გა-
მოსნდება, წარმოსახვას თუკი მოიშველიებ.

ი პ ო ლ ი ტ ა

ეგ ხომ ჩვენი წარმოსახვის წყალობით გამოვა. მა-
გათ რა, მერე?!

თ ე ზ ე ვ ს ი

თუ ჩვენც იმაზე უარესად არ მივიჩნევთ მაგათ, ვიდ-
რე თვითონ მაინცათ თავიანთი თავი, მაშინ იქნებ დიდ-
ბულ ხალხადაც კი გასადღენ... აგერ, ორი კეთილშო-
ბილი მხეცი მობრძანდება — მივარე და ღომი.

(შემოდის ღ ო მ ი და მ თ ე ა რ ი ს ს ს ი ე ა.)

ღ ო მ ი

ქალბატონებო, თქვენს ნაზ გულებს, გრძნობებით

აშლილს,

თაგვის ფაჩუნიც აკრთობს ხოლმე და შიშით ზარაეს.
ღმის ღრიალს რომ გაიგონებთ, რას იზამთ მაშინ —
აცასცახდებით, ატოკდებით ლერწამის დარად.
მაგრამ გახსოვდეთ — არც ღომი ვარ, არც ცილი ღომის.
მე კობტაპრუწას მეძახიან, ხურის — ხელობით.
ღომი რომ ვიყო — სისხლისა და საკბილის მღამი,
მაშინ, თვითონვე თქვენი მსხვერპლი შევიქნებოდი.

თ ე ზ ე ვ ს ი

ხედავთ, რა კეთილი ნადირი ყოფილა. თანაც როგო-
რი პატიოსანი!

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

იმისთანა ნადირია, რომ ხელად მოინადირებს კა-
ციის გულს, ჩემს დღეში არ მინახავს მავისთანა ნადირი,
ბატონო ჩემო.

ღ ი ს ა ნ დ რ ე

ხომ ღომია, სიმამაცით მელასაც კი არ დაუღებს
ტოლს.

თ ე ზ ე ვ ს ი

ჭკუით კიდე — ბატს.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ეგ მთლად ასე არ გახლავთ, ჩემო მეუფე. მაგას
ჭკუა უფრო უჭრის, ვიდრე მამაცობა; მელა, კიდე, ყო-
ველგვარ ბატს დასძლევს.

თ ე ზ ე ვ ს ი

მე კი მგონია, მამაცობაზე ძლიერი არც ჭკუა აქვს —
როდის მომხდარა, ბატი მელას მარცხად. თქვია ჭკუის

საქმე თვითონ იკითხოს. ჩვენ აგერ მთვარეს მოვუსმინოთ, ვნახოთ, რას გვეტყვის.

მ თ ვ ა რ ი ს ს ხ ი ვ ი

რქამორკალული მთვარე გახლავთ ჩემი ფარანი...

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

რქები თვითონ უნდა დაეღვა თავზე.

თ ე ზ ე ვ ს ი

ნამგალა მთვარე კი არ გეგონოს – რქები უხილავად აქვს შიგნით ამოზრდილი.

მ თ ვ ა რ ი ს ს ხ ი ვ ი

რქამორკალული მთვარე გახლავთ ჩემი ფარანი, მე კი კაცი ვარ, იმ მთვარეზე დამკვიდრებული.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

სინათლისა ეშინია, ხომ ხედავთ, ანთებულია.

ი პ ო ლ ი ტ ა

თავი მომაბეზრა მაგ მთვარემ, ნეტა აღარ გამოიცვლება?

თ ე ზ ე ვ ს ი

შენ ფიქრი ნუ გაქვს, ისე მკრთალად ანათებს მაგის გონება, რომ ეტყობა დაღუვახუა. ეგვიც რომ არ იყოს, თავაზიანობას მაინც ვერ ეუღალატებთ, უნდა მოვითმინოთ.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

განაგრძე, მთვარეე.

მ თ ვ ა რ ი ს ს ხ ი ვ ი

ბევრი კი აღარაფერი მაქვს სათქმელი; მარტო ის უნდა მეთქვა, რომ ეს ფარანი – მთვარეა; მე – მთვარეზე დამკვიდრებული კაცი ვარ; ეს ეკლის ბუჩქი -- ჩემი ეკლის ბუჩქია; და ეს ძაღლიც – ჩემი ძაღლია.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

მაშ ფარანში უნდა შეეძვრეთ ყველანი. ეგვნი ხომ სულ მთვარეზე არიან!.. ჩუმაღ, თისბე მოდის.

(შემოდის თ ის ბ ე.)

თ ის ბ ე

ნინუს საფლავი!.. ჩემი სატრფო სად არის, ნეტა?

(ლომი ღრიალებს, თ ის ბ ე ვარბის.)

ლ ო მ ი

ო!..

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ყოჩად, ლომო, კარგად ღრიალებ.

თ ე ზ ე ვ ს ი

შენც ყოჩად გავარდი, თისბე.

ი პ ო ლ ი ტ ა

შენც კარგად ანათებ, მთვარეე... ჰა, მართლაც დიდებულიად არ ანათებს!

(ლომი თისბეს მისახსენის დაფლეთს და გავარდება.)

თ ე ზ ე ვ ს ი

ჰო, ჰო, რას გამოეწო!

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

საცაა, პირამოსიც განძდება.

ლ ი ს ა ნ დ რ ე

ლომი აღარ დახვდება.

(შემოდის პ ი რ ა მ ო ს ი.)

პ ი რ ა მ ო ს ი

მადლობას გიძლენი სინათლისთვის, ძვირფასო მთვარეე, მადლობას გიძლენი, სიკაშკაშეს რომ აფრქვევთ თვალებს, მადლობას გიძლენი, დღესავით რომ ანათებ ღამეს, შენი წყალობით, ჩემს თისბესაც ვიხილავ მალე.

მაგრამ დაიცა!.. ჰოი, ეაგლახ მე.

ღმერთო ძლიერო, როგორ დამლახვერე!

საბრალო რაინდს რა მერგო ბედად –

რა სატანჯველი!..

რა განსაცდელი!..

ჩემო ჭუჭულო, ამას რას ეხედავ!

ამ შენს მანტიას

სისხლი ატყვია!..

ჰა, ფურიებო, მიშველეთ ჩქარა!

სდიეთ, დალახვერეთ,

სცემეთ, გალახვეთ,

ვასრისეთ, მოსპეთ... მოთმენა კმარა!

თ ე ზ ე ვ ს ი

ამისთანა ელდა და ძვირფასი მეგობრის სიკვდილი მართლაც რომ გაამწარებს ადამიანს.

ი პ ო ლ ი ტ ა

თავს გეფიცებით, ნამდვილად მებრალება ეს კაცი.

პ ი რ ა მ ო ს ი

ჰოი, ბუნებაე, ნეტა ლომებს რად აჩენ ქვეყნად?! რომ ჩემს საყვარელს მოუსწრაფოს სიცოცხლე წმინდა?! ის ქალი იყო... ქალი... ო, ნუ ჩამითვლით კვეხნად,

ვისაც ბადალი არ ჰყოლია გაჩენის დღიდან!

ცრემლის მღინარემ წამლეკოს ღამის...

ხმალო, ქარქაში დასტოვე წამით,

მკერდს დაეძგერე ზედ მუძუს არეს,

გააპე გული
დამწუნებულნი
და მოშკალ, მოშკალ, მოშკალი ბარემ.
(თავს იკლავს.)

გავთავდი მყისვე,
მიფორინავ ცისკენ,
აღარ ვითვლები ცოცხლებში სულაც...
ენავ, ჩაშავდი,
მთვარევე, წაშავდი,
(მ თ ვ ა რ ე გაღის.)

ბოლო მომელო, გათავებულვარ.
(კვდება.)

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

რაო? ბოლოც მოელო და თავიც?! სწორედ ამაზეა
ნათქვამი, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებო.

ღ ი ს ა ნ დ რ ე

გათავებულს ისევ ბოლომოდებული სჯობია, მაგის-
თანა კაცს თავი ვინ მისცა.

თ ე ზ ე ე ს ი

რათა! დოსტაქარი თუ მოაშველეს, იქნებ ვირის თავი
გამოაბას.

ი პ ო ლ ი ტ ა

ძალიან უდროო დროს კი გავიდა ეს მთვარე: თისზე
რომ მობრუნდება, შეეყვარებული როგორღა ნახოს?!

თ ე ზ ე ე ს ი

ვარსკვლავების სინათლეზე მოძებნის. აგერ, მოადის
კიდეც. ერთს იფეთქებს და პიესაც ღამთავრდება...
(შემოდის თ ი ს ბ ე.)

ი პ ო ლ ი ტ ა

იმედი მაქვს, მალე მოათავებს; ამისთანა პირამოსზე
დიდი ხნით აფეთქება უხერხულიცაა. ერთი ბეწვი კმარა,
რომ ან თისბესკენ გადაიხაროს სასწორი ან პირამოსის-
კენ; პირამოსი – როგორც კაცი, ღმერთო დაგვიფარე,
თისზე კი – როგორც ქალი, ღმერთო გვიშველე.

ღ ი ს ა ნ დ რ ე

უკვე შენიშნა თავისი მშვენიერი თვალებით.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

შენ ახლა იკითხე ხენიშა და კრუსუნი.

თ ი ს ბ ე

ჩემო მტრილო, გძინავს განა?
თუ სიკვდილმა წაგიყვანა?

ო, პირამოს ადექ, წამო!
ხმა გამეცი, რას დამუნჯდი?!
მიპასუხე, ნუ ხარ ურჩი...
მიწამ უნდა შეგიჭამოს
ეგ თვალები, ბროლის დარი,
ბაგე-ტუჩი სანუკეარი,
ვარდისფერი, კოხტა ცხვირი,
ეგ ღაწვები დაბრაწული...
მაშ წახვედი, გაგძერა სული?
მიტომ ვტირი, მიტომ ვევირი.
სამო დაო, მე თქვენ გელით,
ეგ რძისფერი თქვენი ხელი
რაკი სისხლით მიათხვარეთ,
როცა სატროფო მომიკალით
და დამტოვეთ ობლად ქალი...
ნუ აყოვნებთ, მოდიოთ ბარემ.
ენავ, ჩუმად, მოდი ხმალო,
რალაც უნდა დაგაეალო;
ეს გულმკერდი გამეტებით
გამიპე და მორჩი ხელად...
(თავს იკლავს.)

აწ მშვიდობას გითვლით ყველას.
კკედები, კკედები, კკედები, კკედები.
(კვდება.)

თ ე ზ ე ე ს ი

მთვარე და ლომი ამ დახოცილთა დასამარხად დარჩ-
ნენ ცოცხლები.

დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი

ღიახ, და კედელიც მაგათთან ერთად.

კ ო ჭ ა

არა, ბატონო, თავი ნუ მიმიკვდება, არა. ძაგათი მა-
მების გამყოფი კედელი უკვე დაინგრა. ახლა რას ინე-
ბებთ – ეპილოგს ნახავდით თუ ბერგომასკულ ცეკვას მო-
ისმენდით? ჩვენი ორი მსახიობი იცეკვებს.

თ ე ზ ე ე ს ი

ეპილოგს მიუშვით, თქვენი ჭირიმეთ. თქვენს პიესას
მობოდიშება რაში სჭირდება? მისახიობიშველი რა
გაქეთ: ვინც თამაშობდა, ყველა გაწყდა – ეილა უნდა გავ-
კიცხოთ! იცოცხლე, კარგი იქნებოდა, თვით ამ პიესის
დამწერს რომ ეთამაშა პირამოსის როლი და მერე თის-
ბეს წვივისკარავზე ჩამოეხრჩო თავი, ნამდვილი ტრაგედია
იქნებოდა. თუშცა, კაცმა რომ თქვას, ისედაც კარგია.
კარგად გაითამაშეთ. აბა, თქვენი ბერგომასკული ცეკვა
გვაჩვენეთ. ეპილოგს მიუშვით.

(ცეკვა.)

პე, შუალამის რკინის ენამ თორმეტჯერ დაჰკრა
 აბა, საწოლებს მიაშურეთ, შეყვარებულნო,
 ფვერიული ჯადოქრობის უამი დაგვიდგა.
 როგორც ამ დამეს შევეყვით და დიდხანს ვიფხიზლეთ,
 ვშიშობ, რომ დილით ძილს შევეყვებით, დაქაჩულუბი.
 ამ სულელურმა წარმოდგენამ ზოზინა დამე
 ცოტათი მაინც შეგვიმოკლა, შეგვიმსუბუქა.
 აბა, ძვირფასო მეგობრებო, ლივინში ჩქარა!
 ჯერ ორი კვირა ისევ წინ გვაქვს – ეს ორი კვირა
 გადაბმულ ღზინს და დროსტარებას უნდა დაუყოშით.

(გადიან. შემოდის პაკი.)

პაკი

გაბმით ღრიალებს მშვიერი ლოძი,
 მთვარეს შეჭმუის მგლის ხროვა, მწყვრალი,
 გლეხი, დაღლილი, მთელი დღის შრომით,
 მიგდებულა და ხვრინავს, საწყალი.
 ჩანაცრებულა ბუხარში ცეცხლი,
 ჭოტი მოთქვამს და გაჰკივის მწარედ,
 ჭოტის კვიღზე სნეული ხვნეშის
 და ეჩვენება სუდარა მკვდარის.
 ფართოდ გაალებს ხახას სამარე,
 და შუალამის რომ დაჰკრავს უამი,
 წრიალს იწყებენ სულები ვარეთ,
 დასრიალებენ – არც ისმის ჩქამი.
 ჩვენ ფერიები, ჩვეულ სიანცით
 გავეკიდებით ჰეკათას რაშვებს,¹
 როგორც სიზმარი, დავჰყვებით დამეს,
 მზეს ვემალებით – სიბნელეს ვარჩევთ.
 არსად გაისმას თავის ფაჩუნიც,
 სიმშვიდე ღამის შესძრას არავინ!
 მე დამაკისრეს საქმე საშური –
 ცოცხით დავგავო ყველა კარავი.

(შემოდინ ობერონი და ტიტანია ამაღლით.)

ობერონი

მბუუტავი ცეცხლის სინათლევ კმარა,
 რომ გაეზაროთ ცეკვა-მოღზუნა,
 ასლა მოჰყვით ჩიტების დარად,
 სკუბ-სკუბით ხტუნვას და ცაში ფრენას.
 სიმღერაც დაეცხით – არ დაჯახანით,
 მე დავიწყებ და მითხარით ბანი.

ტიტანია

ჯერ დავისწავლით შენი სიმღერა,
 ყველა სიტყვა და ყოველი ბგერა.

მერე ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი
 და კურთხეულვყვით ეს სამყოფელი.

(მღერაან და ცეკვვენ.)

ობერონი

მთელი სასახლე გახინჯეთ ფრთხილად,
 კარს მოვვლამია ვიდრემდე დილა;
 პირველ პატარძალს მიკუძლუნათ გულით
 პირველი ლოცვა და სიხარული.
 მოძებნეთ მისი საწოლი ხელად
 და სასობით ვაკურთხით ყველამ,
 არ მოჰკლებოდეს ღზინას, ღრეობას
 იქ გაჩენილი მემკვიდრეობა...
 მერე დავლოცოთ ის ორი წყვილიც –
 მათაც ცხორება ჰქაინოდეთ ტკბილი,
 მათაც ჰყოლოდეთ შვილები საღი,
 არ დააჩნიათ ბუნებამ დაღი,
 არ დაჰყოლოდეთ სხეულის ნაკლი,
 არც კურდღლის ტუჩი, არც სხვა რამ მანკი,
 არც ლაქა საღმე, არც ვანაკაწრი,
 სათნოდ მოექცეს ბუნება მკაცრი.
 შემოურბინეთ სასახლეს წამით
 და მოაპკურეთ ეს მინდვრის ნამი.
 არ მოჰკლებოდეს პატრონს ძეობა,
 სიხარული და კეთილდღეობა,
 გასწიეთ ჩქარა,
 ზოზინი კმარა,
 დალით მქწვიეთ ჩემს გასახარად.

(გადიან ობერონი, ტიტანია და ამაღა.)

პაკი

თუკი რამეზე დავწყვიტეთ გული,
 თუ ეს გართობა არ იყო სრული
 და გაგიცრუეთ იმედი მწარედ,
 მაშინ ეს თხოვნაც მიიღეთ ბარემ:
 ჩამოგეძინათ სკამებზე თითქოს
 და რაც აქ ნახეთ, სიზმარი იყო.
 რაკილა სტვენით არ აგვიკელით
 და მოგვიტევეთ ცოდვები ჩვენი,
 რაკი შეგვიინდეთ და არ დაგვძრასკით,
 პაკი არ ვიყო, ცრუ დამიძანეთ,
 თუ მაღე ისევ აქ არ გიხილოთ
 და თქვენს ვემოზე არ მოვიღზინოთ.
 ახლა მშვიდობით!.. კვლავაც ჭპირდებით –
 სიტყვას არ გავტუნ არასდიდებით.

(გადის.)

